

# შინაური საქმეები.

ყოველ-კვირული გაზეთი

№ 21-22.

შასი ერთი შაური

წლიური შასი 4 მან.

წელიწადი შეეძესე.

კვირა, 23 ივნისი 1913 წელი.

ყოველ-კვირული გაზეთი

## შინაური საქმეები

სქდის მოწინა მიადგას რე-  
დაქციაში, ქ. ქუთაისში (სა-  
ბურთალო) — კაზაკოვის შე-  
სომხის პაზარში, სომხანაგის შუქის  
ნომერი.

გაზეთის შასი:

კრთი თვით: ||| 2 აბაზი.

სამი თვით: ||| 1 მანეთი.

წლიური თვის: ||| 2 მანეთი.

წლიური თვის: ||| 4 მანეთი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

წლიური თვისი წლიური შასის მომწოდებელი შეიძლება ასე განაწილდეს: თვიდან 2 მ., და 1 ივნისს 2 მ.  
განცხადების ფასი წინა გვერდზე პეტრით სტროქონი ორი შაური, უკანასკნელზე 7 კ.

ადრესაი: ქუთაისი: „შახარა საქმეების“ რედაქცია.

**შინაური:** 1. სიტყვა ყოველდღიური იმერ, ეპ. გიორგისა საავთმყოფო სახლის კურთხევის წინ; 2. ერთენული საკითხის გარშემო — ივერიელი; 3. სახ. დუმა (უწ. სინოდის ხარჯთაღრიცხვა); 4. კვირიდამ-კვირა მდღე; 5. წმიდა სოფია კონსტანტინოპოლში თურქების მიერ დაპყრობამდე და შემდეგ — მღ. ს. შაქარაშვილი; 6. დიმიტრი ივანეს ძე აბაშიძე (ნეკროლოლი) — რედ. მღვ. ს. მჭედლიძე; 7. ხმა სოფლიდან — ზ; 8. ახირებული განკარგულება — ორსოფელი; 9. პასუხის მსგავსი მცირე შენიშვნა — ლეთისნიერი.

### ქ. ქუთაისის საავთმყოფო სახლის კურთხევა.

16 ივნისს — კვირას მისმა შეუფუძვამ ყოველდღიური საპლედლო გიორგიმ კრებულთურთ აკურთხა სალორიაზე ახლად აგებული ქალაქის საავთმყოფო სახლი. კურთხევას დიდი საზოგადოება დაესწრო. წვეულებს სადილი მიართვეს, რომელზედაც მრავალი საგარძობელი სიტყვა წარმოითქვა, კურთხევის წინ მისმა შეუფუძვამ შემდეგი სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას.

ყვილ მორწმუნენო მსმენენო!

უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა ი. ქრისტეს წმ. სახარებაში, იქ, სადაც დასურათებულა უკანასკნელი განსჯა აღამიანთა ქვეყნიურ საქმეებისა, სხვათა შორის, ნათქვამია: ხოლო რაჟამს მოვიდეს ძე კაცისა დიდებითა თვისითა, და ყოველნი ანგელოზნი მისნი მისთანა, მაშინ დაჰსჯდეს საყდართა დიდებისა თვისისათა; და შეჰკრბენ წინაშე მისისა ყოველნი ნათესაენი, და განარჩინეს იგინი ურთიერთარს, ვითარცა იგი შწყემსმან რა განარჩინის ცხოვარნი თიქანთაგან; და დაადგინეს ცხოვარ-



ნი მარჯვენით მისსა, და თიკანნი მარცხენით. მაშინ ჰრქვას მეუფემან, მარჯვენითა მათ მისთა: მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო! და დაიპყიდრეთ განშაღებული თქვენთვის სასუფეველი, დასაბამითგან სოფლისათ. რამეთუ შშიოდა, და მეციო მე ქამადი; მწყუროდა, და მასვით მე; უცხო ვიყავ, და შემოწყნარეთ მე. შიშველ ვიყავ, და შემშოსეთ მე; სნეულ ვიყავ, და მომხედეთ მე; საპყრობილესა ვიყავ და მომხედით ჩემდა. მაშინ მიუგონ მას მართალთა მათ და ჰრქვან: უფალო! ოდეს გიხილეთ შენ მშიერი, და გამოგზარდეთ? ანუ წყურიელი და გასვით შენ? ოდეს გიხილეთ შენ უცხოდ და შევიწყნარეთ? ანუ შიშველი და შეგმოსეთ შენ? ოდეს გიხილეთ შენ უძლურნი, ანუ საპყრობილესა, და მოვედით შენდა? და მიუგოს მეუფემან მან, და ჰრქვას მათ: ამინ გეტყვი თქვენ: რადენი უყავთ ერთსა ამას მკირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ.

კეთილმორწმუნენო მსმენელნო, ამ წაშში თქვენ გაიგონეთ ქრისტეს სიტყვები: „სნეულ ვიყავ და მომხედეთ მე“ და კითხვაზე: „ოდეს გიხილეთ შენ სნეული და მოვედით შენდა“, მან მიუგო: მაშინ, როცა თქვენ უყავით ესე ერთსა უმრწემესსა ჩემსა ძმათაგანსა“. როგორც ხედავთ, სნეულის ნახვისათვის, ე. ი. სნეულზე ზრუნვისათვის, სნეულისადმი თანაგრძობისათვის ქრისტე გვირდებდა სასუფეველის დამკვიდრებას, რომელიც გამზადებულ არს დასაბამიდგან ქვეყანისა. შესანიშნავი და ჭურადლების ღირსია სახარების მოყვანილ სიტყვებში ის, რომ მაცხოვარი მოწყალების საქმეთა შორის არაფერს არ ამბობს სხვა ქველის საქმეების შესახებ, ვითომც ისინი არც კი იყვნენ საჭირო ადამიანის ცხოვრებისათვის. ამის მიზეზი ის არის, რომ მოწყალების საქმეში უფრო მეტი ძალით გამოიხატება ადამიანის მოყვანისადმი სიყვარული, სიყვარული თავის თანასწორ არსებებისადმი.

ერთი ხჯულის მეცნიერის შეკითხვაზე, რომელი მცნება არის უმთავრესი სჯულისა შინა, იესო ქრისტემ მიუგო:

„შეიყვარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულთა შენითა, და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა, ხოლო მეორე მსგავსი ამისი: შეიყვარო მოყვასი შენი, ვირცა თავი თვისი. ამა ორთა მცნებათა ზედა ყოველი სჯული და წინასწარმეტყველი დამოკიდებულ არიან“. სხვანაირად რომ ესთქვათ, შენება სიყვარულისა არის საფუძველი, არის ფესვი ყველა მცნებებისა ადამიანის ქველის საქმეების შესახებ. სიტყვისაებრ სიყვარულის მოციქულისა იოანესა თვით ღმერთი სიყვარულია. ღმერთმა დაუსრულებელითა თვისითა კაცმოყვარებითა არ დაზოგა თვისი მხოლოდ შობილი ძე, რომელიც ადამიანის სიყვარულისათვის განკაცნა და იტვირთა ჯვარი. აი ასეთ სიყვარულს თხოულობს მაცხოვარი ჩვენგანაც მოყვასისადმი. მობაძვე ჩემდა იყვენით, ამბობს იგი სხვა ადგილას. იქნება ეს მცნება შეუძლებლათ გეჩვენოსთ, მაგრამ ცხოველი, მოქმედი სიყვარულისათვის არაფერია შეუძლებელი.

თუ გვაქვს ჩვენ ასეთი სიყვარული მოყვასისადმი, სიანს, გვაქვს სახეც ღვთისა, სახე ქრისტესი, თუ არა გვაქვს ასეთი სიყვარული, მაშასადამე, არა გვაქვს არავითარი ქველის საქმე, არა არს ჩვენ შორის არავითარი ადამიანური, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. სიყვარულის გარეშე ჩვენ, ყველა ჩვენი ქველის საქმით, წარმოვადგენთ მხოლოდ წინწილსა მრავალხმოვანსა.

საყვარელნო მსმენელნო! მე განძრავ შევაყენე თქვენი ყურადღება მცნებასა ზედა სიყვარულისასა და ნაყოფთა ზედა ამა სიყვარულისასა—საქმეთა ზედა მოწყალებისასა. როგორც ჩვენ შემოთქმულიდან დავინახეთ, მოძღვარი ჩვენი ჩვენი ცხოვრების შენობის თავსაკიდურად სდებს მოწყალების საქმეთა მოყვანისადმი და აი ჩვენც შევიკრიბეთ ამ სახლში, სახლში, რომელიც ამიერიდგან ვახლება მეცნიერების წმიდა ტაძრად, განსაკურნებლად ბრძანთა, მკელობელთა, და ყოველთა, რომელნი მოვლიან აღმღვრევასა მას მეცნიერების წყლისასა მსგავსად აღმღვრევი ა მის სახარების საბანგლისა ბიფეზდისასა, სადაც იყვნენ ურიცხვნი

სნეულნი. ჩვენ შევიკრიბეთ აქ, რომ აღვასრულოთ ლოცვა და გამოვიტხოვოთ კურთხევა ღმერთისა როგორც ამ სახელზე, ისე მასში მობინადარეთა მოღვაწეთა ზედა და აგრეთვე მათ ზედაც, რომელთა აღაშენეს იგი. დღევანდელი დღე ქუთაისისთვის შესანიშნავი დღეა. დღეს ქუთაისი თავის წარმომადგენელთა პიროვნებით დღესასწაულობს თავის კაცთმოყვარობის და ტანჯულ მოძმეთა ზედა მზრუნველობის დღესასწაულს. ღმერთმა მისცეს ქუთაისს და ყოველთა ქალაქთა და სოფელთა ჩვენისა მამულისა და სამშობლოსისა რაც შეიძლება მეტი ასეთი დღესასწაულობა სიყვარულისა და ნუგეშისცემისა სასარგებლოდ მოყვისა. მე, როგორც უღირსი მლოცველი თქვენი წინაშე ღმერთსა, თქვენთან ერთად, კეთილმოარწმუნენო მსმენელნო, ვხარობ დღევანდელი დღესასწაულით. ქრისტეს მოწაფისთვის, რომელმაც შეიგნო ანდერძი თავის მოძღვრისა, ყოველთვის სასიხარულო და სანუგეშოა მეცნიერების და ქეშმარიტი განათლების ასეთი დღესასწაულების განცდა, რადგან ქრისტიანობასაც და ქეშმარიტ მეცნიერებასაც ერთი და იგივე მიზანი ასულდგმულებს—კაცობრიობის კეთილ-დღეობა და წმიდა გულით სიყვარული.

ვილოცოთ უკვე, ქრისტეს მიერნო ძმანო ჩემნო, რათა ღმერთმა არა თუ აკურთხოს სახელი ესე—განსასვენებელი ჩვენთა ტანჯულთა მოძმეთა, არამედ გარდამოუვლინოს თავისი ყოველად ძლიერი შემწეობა მიღწევისათვის მისდამი დანიშნული მიზნისა საკეთილდღეოდ და სანუგეშოდ ტანჯული ადამიანისა. მაღლმა ზეციერისა ხორცთა და სულთა ჩვენთა მკურნალისაჲმ განისვენოს ადგილსა ამას ზედა უკუნისამდე. ამინ.

## ეროვნული საკითხის გარშემო.

ჩვენი ცხოვრების ფხიზელ მეთვალყურეს მოეხსენება, თუ რა აურ-ზაური გამოიწვია ჩვენში მეოთხე სათათფიროს დეპუტატების არჩე-

ვამ. პრესაში გამოთქმულ აზრების მიხედვით არჩევნების დროს დატრიალდა ორი მიმართულება: ქართული-ეროვნული და არა ეროვნული. პირველს სურდა სახელმწიფო სათათფიროში დეპუტატად აერჩია ისეთი პირი, რომელიც იქნებოდა ნამდვილი წარმომადგენელი ქართველი ერისა და, როგორც ასეთი, დამცველი ამ ერის ინტერესებისა და უფლებებისა. ხოლო მეორე მიმართულებას (სოციალდემოკრატის) ქართველი ერი და მის უფლებების დაცვა სახელმწიფო სათათფიროში სათაქილოდ მიაჩნია და ზრუნავს საქვეყნო საქმეებისათვის, ყველას ბედნიერებისათვის. არ შეგვიძლია არ აღვიაროთ, რომ, როგორც პირველი, ისე მეორე მიმართულება მოქმედებდა ქართველი ერის სახელით, რადგანაც ამომრჩევლების უმრავლესობა ქართველები არიან და ჩვენც, ქართველებს, რუსეთის პარლამენტის დაარსებისათვის გვეგონა და გვგონია, რომ ქართველი დეპუტატები სათათფიროში დაიცავდნენ და დაიცავენ ქართველი ერის უფლებებს, რომლის წარმომადგენლებად ისინი ითვლებიან, და სალი გონება და პატიოსნებაც ამას მოითხოვს, — ემსახურო მას, ვის წარმომადგენელადაც ითვლები... განმეორებით ვიტყვი, რომ ორივე მიმართულება მოქმედებდა სათათფიროში ქართველი ერის სახელით და პირველ სამს სათათფიროში დეპუტატებად გავიღვენ მეორე მიმართულების, ე. ი. ეროვნულ საკითხის უარყოფელნი, თითქოს ქართველ ერს მართლა არ სწამდეს თავისი ვინაობა, როგორც ეროვნულ ერთეულს და სათათფიროს დეპუტატებს, როგორც გვაჩვენა მათმა მოქმედებამ, კრინტიც, არ დაუძრავთ სათათფიროში ქართველი ერის სახელით არა რომელიმე საკითხის ვარდაწყვეტაში, მაშინ, როდესაც რუსეთში მცხოვრები სხვა ეროვნებათა წარმომადგენელნი, წარმოიდგინეთ მაჰმადიანნიც კი, დიდი თავგამოდებით ესარჩლებოდნენ იმათ, ვის წარმომადგენლებადაც ითვლებოდნენ.

სამ სათათფიროში დეპუტატებად ვასულნი ს. დემოკრატები გათამამდნენ და საბოლოოდ დარწმუნდნენ იმაში, რომ ის ერიც იმ რწმე-

ნისა პოლიტიკურ საკითხებში, ვისი წარმომადგენელი იყვნენ ისინი, მაგრამ სულ სხვა დაგვანახა მეოთხე სათათბიროს არჩევნებში.

ჩვენ, ვიცოდით რა ქართველი ერის პიხლოლია, როგორც დაახლოებით გლახებში მცხოვრებმა, სულიერად ვიტანჯებოდით დეპუტატების ასეთი მოქმედებით და მოველოდით იმ დროს, როდესაც თვით ქართველი გლეხი, მუშა, რომლის სახელსაც აგრე ადვილად არიკავებდნენ, გამოიღვიძებს, შეიგნებს თავის ვინაობას, გაიგებს რას სჩადიან მისი წარმომადგენელი სათათბიროში და თვითონ გაილაშქრებს მათ წინააღმდეგ, ვინც ასე უკულმართად სარგებლობდა მისი ნდობით და პატიოსნებით, და ეს დროც დადგა. მეოთხე სათათბიროს დეპუტატების არჩევნებმა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ნათლად დაგვანახა, თუ ვისკენ არის მიმართული ქართველი ერის სიმპატია, მის უფლებათა დამცველადმი, თუ უარყოფელთადმი. ამ არჩევნებში შესანიშნავი და საყურადღებო ის არის, რომ, ოდნავ გამოიღვიძებულმა თვით ერმა მიიღო მონაწილეობა და არ აპყვა ენა-ლაქლაქა ყოჩებს, რომელნიც ოდესმე მთელს დუნაის ჰპირდებოდნენ სიტყვით, ხოლო საქმით კი ასე ღალატობდნენ. მართალია აღმოსავლეთ საქართველოში დეპუტატად ისევ ს. დემოკრატი კ. ჩხეიძე გავიდა, მაგრამ ეს მოხდა თვით ს. დემოკრატების და სომხების ხრიკებით; — სომხების ხრიკებით, ვამბობ, რადგანაც ესენი, როგორც ისტორიულნი მტერნი ქართველებისა, თუ თავისას ვერ გაიტანდნენ, ხელს მაინც შეუშლიდნენ ქართულ საქმეს ამ საქმის უარყოფელის არჩევით... მაგრამ ეს გარემოება ჩვენ არ გვაღონებს, რადგანაც ნათლად სჩანს, რომ ქართველი ერი იღვიძებს, დაკვირვებულად და შეგნებულად ეკიდება თავის საქმეს; ეს გარემოება ფხიზელი მეთვალყურისათვის თვალსაჩინო შეიქნა და ავი მიტომავე ბრძანებს ბ-ნი არჩილ ჯორჯაძე თავის წერილში: „აშქარაა, რომ ქართული ეროვნული საქმე იმდენად მომწიფდა და დასავლეთ საქართველოში, რომ არამც თუ ადვილიდ იგერიებს საზოგადოებრივ რეაქციონ-

ურ ელემენტებს, არამედ იერიში აქვს მიტანილი დღემდე უძლეველი კოსმოპოლიტ-დასელების წინააღმდეგაც!!\*)

როგორც ვიცით, დასავლეთმა საქართველომ გააშავა დეპუტატი გეგეკორი, ს. დემოკრატი, და მის მაგიერ აირჩია ეროვნულ ინტერესთა დაცვის მომხრე ვარლამ გელოვანი. ამით ძლიერ ნაწყენი დარჩა ბ-ნი გეგეკორი და მიჰყო ხელი ძმაკაცებისებურ ქორსა და ხრიკებს, რუსული გახეთის ფურცლებზე გაილაშქრა გელოვანის წინააღმდეგ და ურცხვად ამტკიცებდა, ვითომც იგი, გეგეკორი, მთელი ხალხისთვის სასურველი დეპუტატი იყო, მაგრამ გელოვანის პარტიის უკადრისი ხრიკებით იქმნა გაშავებული. ამაზე ბ-მა გელოვანმა შესაფერი პასუხი მისცა და ვიმედოვნებთ გააქარწყლებს კიდევაც ასეთ ცილისწამებას, მხოლოდ საკითხი იმაშია გეგეკორი ქართველი ხალხის, გლეხის, მუშის წარმომადგენელი იყო თუ არა? გადაჭრით ვიტყვი: არა, ვინაიდან დასავლეთ საქართველოს გლეხებს და მუშებს ისე ეკითხებოდნენ დეპუტატების არჩევას, როგორც მე და შენ გვეკითხებიან, მკითხველო, ვეროპის მთავარ საკითხებს. სამი სათათბიროს მოქმედების ხანაში ქართველი ხალხი, თვით მიგდებულ სოფლის მუშაც, თან-და-თან აკვირდებოდა თუ რას აკეთებდნენ მისი წარმომადგენლები სათათბიროში, რა შესძინეს მათ თავიანთი მოქმედებით და როდესაც დარწმუნდა მათ უმოქმედობაში ქართველი ერის წინაშე, მათ ღალატში ქართულ-ეროვნულ საკითხების წამოუყენებლობით სათათბიროში, ზურგი შეაქცია, უკუავდო მათი წარმომადგენლობა და, ამდენი ხნის მოტყუებულმა, მუქართაც გაილაშქრა მათკენ; ამას ცხადად მოწმობს ტფილისელი მუშის წერილი გეგეკორის საპასუხოდ გელოვანთან გამოლაშქრების გამო. აი ის წერილიც: „ახალ დეპუტატის ვარლამ გელოვანისა და ნადეპუტატარის შორის მომხდარმა ინციდენტმა ჩვენი ყურადღება მიიპყრო. ამიტომ არ შეგვიძლია ორიოდ სიტყვა არ ესთქვათ. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ საშუალებას ვართ მოკლებულნი გავიცნოთ გეგეკორის წერილების შინაარსი, რადგანაც რუსული არ ვიცით ვსარვებლობთ თარგმანით. როგორც სჩანს გაშავებას გეგეკორი ძალიან გოუბრახებია, რომ ეხლა რუსულ გაზე-

\*) იხ. სახალხო გაზეთი 1912 წ. № 716.

თებში მოუნდომებია ვათეთრება. ეს ჩვენ არც გვიკვირს, ყოველი დამარცხებული ცდილობს დამარცხების მიზეზი აღმოაჩინოს. მაგრამ ორი რამ კი პირდაპირ ვაოცებაში გვაგდებს. რად დასჭირდა გეგეკორს საქართველოში მომხდარ ამბების რუსეთში გადატანა? რუსის საზოგადოებას როგორ შეუძლიან პირუთენელი მსჯავრი დასდოს? მეორედ, გვაკვირებს ის გარემოება, რომ ყოველგვარ ბოროტებას გეგეკორი მისგან ათვალისწინებულ პარტიას ახვევს კისერზე.

„ბ-ნო გეგეკორო! უნდა მორიდებით გკადროთ და მოგახსენო, რომ თქვენ იქნება შართლაც უვნებელ ბატონებად მიგაჩნიათ თქვენი ამხანაგები, იქნება არც კი იცოდეთ, რა ხდებოდა ხოლომე ამ არჩევნების დროს. როდესაც დეპუტატად თქვენა და ჩხეიძე გახვედით. შეიძლება ძალიან კარგადაც იცოდეთ, მაგრამ იმ იმედით იყოთ, რომ თქვენი იდეური მოწინააღმდეგენი თქვენს შინაურ საქმეებს ვერ იცნობენ და, ამიტომ ვერც ვერაფერს გამოიმედებენ. მაგრამ ჩვენ, მუშებს, რომელნიც თქვენი სიმაგრეების ქვა-ქუთხედად ვითვლებოდით, რა პასუხს გვაძლევთ? ბატონო გეგეკორო! დაწმუნებული ბრძანდებოდით, რომ, თუ თქვენმა ქექვამ მეტად შეგვაწუხა, იძულებული გახდებოდით, სიმათლის აღსადგენად, ისეთ მაღულ ქურებს წამოგხადოთ თავი, რომლის სუნი ყველაზე მეტად თქვენ შეგაწუხებთ. გლეხებმა გელოვანს არ მისცეს ხმა და არცა სთვლიან თავიანთ წარმომადგენელად, ვიბრძანებიან თურმე. გეშინოდეთ ბ-ნო გეგეკორო, იმ დროისა, როდესაც გლეხი შეიგნებს თავის თავს. რაიცა შეეხება მუშებს, გაცნობებთ თქვენთვის ჯერ არ ცნობილ ფაქტს. არჩევნების წინ მუშების ერთი ნაწილი, რომელთაგან ნახევარზე მეტი მარქსისტები იყვნენ. მოვიდნენ ბ-ნ გელოვანთან და სთხოვეს ყუთი და ედგა თფილისში. გაშარჯვების გარანტიას ეს მუშები აძლევდნენ. მაგრამ ბ-ნა გელოვანმა ამ მუშებს უთხრა: ყუთს მე ტფილისში არ დავიდგამ, ქუთაისში კი ვეცდები ამომრჩეველად გავიდე და დავხებარო კიტა აბაშიძის გამარ-

ჯვებასაო. მერე რაც მოხდა, ხომ თქვენც იცით.

„ყველა ამის შემდეგ, უნდა მოგახსენოთ, რომ ტფილისის მუშათა ნაწილი ბ-ნ ვარლამ გელოვანს სთვლის თავის საკუთარ დეპუტატად და არა კარლო ჩხეიძეს.“\*)

ღიახ, სათათფიროს ყოფილი დეპუტატების მოქმედებით იტანჯებოდა ყოველი გონიერი ქართველი და ელოდა დროს თვით ის ელემენტები გალაშქრებულიყო მათ წინააღმდეგ, რომელთაც სთვლიდენ თავის სიმაგრის ქვა-კუთხედად, და რომელთაგანაც იყვნენ უფლება-მოხილნი, სამწუხაროდ და სავალალოდ, მათსავე წასახდენად. და ეს დროც დადგა. თუმცა ოპოზიცია გამოვიდა მხოლოდ ნაწილი ქალაქელ მუშათა და სოფელელ მეურნეთა, მაგრამ ფაქტი მაინც ღირსშესანიშნავია, რადგანაც მომავალში, სრული გამოლევების შემდეგ, ამ პოზიციას დაიკერს მთელი ქართველი ერი განუჩველად წოდებისა, კლასისა და მდგომარეობისა, იმიტომ, რომ ქართველ ერში სოციალისტური მისწრაფება, როგორც ეროვნების უარყოფელი, არ არსებობს; ასეთ მისწრაფებათა მატარებელნი და მომხრენი არიან მხოლოდ რაოდენიმე პირნი, როგორც ყოველ სხვა ერებში, რომელნიც წარმოდგენენ სულ მცირე გამონაკლს მთელი ერის ორგანიზმიდან. ქართველი ერი კი მთელი თავის შემადგენელობით არის თავის მიწა-წყლის მოყვარე და, თუ გარემოებამ მოითხოვა, უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დამცველი თავის ისტორიულ, ტერიტორიულ და სოციალურ უფლებათა; იგი, ქართველი ერი, დიდი სიამოვნებით და მასთანავე გულის წყვეტით იგონებს ისტორიულ ბრწყინვალე წარსულს, გოდებს და ვალალებს უნუგეშო აწმყოს მხედველი და დიდი სასოებით და ძლევა-მოხილ იმედებით გაჰყურებს იმ შორეულ მომავალს, როდესაც კავკასიის მაღალ ქედზე მიჯაჭული ამირანი გაიქნევს დასვენებულ გამირულ მკლავს, გასწყვეტს მონობის ჯაჭვს და სიხარულად შესცვლის განვლილს მწუხარებასა და გახაჭირს. ასეთი ინსტიტუტები ქართველი ერისა უკვე უშუ-

\*) სახალხო გაზეთი 1912 წ. № 768.

დღა სიძინეს და ფეხს იკიდებს რეალურ ნიადაგზე:—მთელ ერში დღეს ვერ ჰპოვებ წოდებრივობის მოტრფიალესა, პირიქით ყველა წოდებებმა შეიგნეს, რომ ბრწყინვალე მომავალს გვიქადის მხოლოდ ჩვენი გლახობა და მუშები თავის უმრავლესობით და ამ მოსაზრებით ცდილობენ და იღვწვიან მათი უფლების აღდგენას, მათ გათანასწორებას და ერთ ეროვნულ ფერხულში ჩაბმას, რომელ ფერხულშიაც ჰარმონიულად შეწყობილი და შეხმატებილებული იქნება ყოველი ბევრა და ჰანგი ქართველი ერისა საერთო წარმატებისა და ბედნიერებისაკენ მიმართული... გამონაკლისს შეიძლება შეადგენდეს მხოლოდ მცირე რიცხვი გონებით დაბნელებულთა და ისტორიულ გარემოებათა ვერ მხედველთა, რომელთა გამოფიზიზლების და გამოგონიერების ზრუნვას და მეცადინეობას მისცემია, როგორც ცხოვრება გვაჩვენებს, რჩეული ნაწილი თავად აზნაურთა, ბურჟუაზიისა, სამღდელოებისა და გლახობისა. ამას ჩვენი თვალთ ვხედავთ, როგორც ქალაქებში ისე სოფლებში და ამით აღძრული ბრწყინვალე იმედები ერთი ათად აჩქარებს ამ მიმართულების ზრდას ჩვენდა სანუგეშოდ და ძვირფასი სამშობლოს სასარგებლოდ. და ასეთი მოვლენის შემდეგ მეტიარობა და შეუგნებლობა იქნება მოახვიო მთელ ქართველ ერს სოციალური მრწამსი და აღერო მისთვის შეუფერებელ და შეუხამებელ დუღუქზე. ხოლო ის გარემოება, რომელშიაც დღეს ვიმყოფებით და განვიცდით, სრულიად არ უნდა გვადონებდეს, ვინაიდან, როგორც ისტორია გვეუბნება, უარესი და შემზარავი გარემოებანი განუტლია ქართველ ერს, მაგრამ არ მოსპობილა, არ აღგვილა პირისაგან ქვეყანისა, არამედ, მეტხრამეტე საუკუნემდე მოსული, აღექსანდრე მაკედონელის, არაბთა შემოსევის, მონღოლთა, სპარსელთა და ოსმალთა ბარბაროსობის ამტანნი, დასდგომია ნამდვილ კულტურულ გზას, რომელი გზაც უკვე გაიკაფა საკუთარი ძალონით და დააჩნია თვალ-საჩინო კვალი, თუმცა მრავალნი დაბრკოლებანი ელობებოდენ წინ. და ასეთი სვლა და მისწრაფება მეტად ძლიერია, რომელსაც ვერ მოსპობს ვერაფეთარი ძალომორეობა, თუმცა შესაძლებელია ამ სვლის მოდუნება შესაჩერებელი ჰანრაკის მოჭერით, ხოლო სრულიად მოსპობა ყოველად შეუძლებელია. ამ მოსაზრებით ყოველი გონიერი ქართველი რა მისწრაფებისა და მიმართულებისაც უნდა იყოს, ვალდებულნი თავის მრწამსად აღიაროს

ქართველი ერის უფლებათა დაცვა და თავდადებით ემსახუროს იმ მიწაწყლის შერჩენა გაფართოებას, სადაც შობილა, თვალი აუხელია, დაუნახავს ამა ქვეყნიური წარმატაცი მშვენიერება, უსმენია ტკბილი ენით დამღერებული ქართული „ნანა“ და განუტლია ბევრი სიამოვნება და მით აღასრულოს თვისი მოვალეობა შეილისა მშობლისადმი. ასე მოქმედებდენ წარჩინებულნი პირნი ყოველ ერში; ამას ჩასახოდა თვით ბებელი ს. დემოკრატ თანამემამულეებს: შეინარჩუნეთ სამშობლოს სამზღვრებათ. ამ გზას უნდა დავადგეთ ჩვენც.

გონება ამაღლებულნი, კაცობრიობის მეგობარნი და მისი ბედნიერების გამკედნი საფრანგეთის ენციკლოპედისტები და ფილოსოფოსნი, ჰქადაგებდენ რა განმათავისუფლებელ იდეებს, ერთ წამსაც არ დავიწყნიათ თავის სამშობლო და ჰმოდღერდენ თანამემამულეთ მტკიცედ დაეცვათ დიდება საფრანგეთისა. — „კიდევაც რომ ვინმემ მოინდომოს თავის გაყიდვაო, ამბობს ეანჟაკ რუსსო, იმას არ ძალუძს შეილების გაყიდვა, ისინი შობილან ადიმიანებად და მაშასადამე თავისუფალ პირებად, რომელი თავისუფლებაც არის მათი კუთვნილება და, ვინც უარჰყოფს ამ თავისუფლებას, იგი ხელს იღებს თავის ადამიანობაზეო“. „ნეტარ არს შეილი, რომელზედაც ითქმის: მან ანუგეშა დედა; ბედნიერია მგოსანი, რომელზედაც ითქვას: „მან ანუგეშა თავის სამშობლოვო“, ამბობდა ვიკტორ ჰიუგო. იგივე ჰიუგო 1848 წლის 20 მარტს ამ სიტყვებს ამბობს ამომრჩეველთა კრებაზე: „ბატონებო! მე ვეკუთვნი ჩემს სამშობლოს, მას შეუძლია, როგორც სურს, ისე მომეპყრას მე. მე დიდის პატივისცემით ვეპყრობი არჩევნების თავისუფლებას. ასე რომ მე არ ვიდგამ საარჩევნო ყუთს... მე დამიწვრია 32 ტომი, დამიდგამს სცენაზე 8 პიესა, ექვსჯერ მილაპარაკნია პალატაში, ჩემი სიტყვები დაბეჭდილია. ყველა ესენი გადაშლილია ქვეყნის წინაშე, მე ვერც რამეს მიუუმატებ ამას და ვერც მოვაკლებ. მე არ ვიდგამ ყუთს. რისთვის? ვისაც ერთი კაბადონიც კი დაუწერია თავის სიტყვებში, იგივე კაბადონი აქვს თავის ვინაობის წარმომადგენელად, თუ კი აქ ჩაუწნავს თავისი გრძობა და სინიღისი.

„თუ კი თანამემამულენი მომიწოდებენ კრებაში, როგორც წარმომადგენელს, რომელ კრებასაც ხელთ ეკავება საფრანგეთის და ევროპის ბედ-იღბალი, მე დიდი მოწინებით მი-

ვიღებ ასეთ მონდობილებას და შევასრულებ სრული ერთგულებით, თავდადებით და სინი-დისით. თუ რომ თანამემამულენი არ ამირჩე-ვენ მაშინ მე, ვითარცა ის სპარტანელი, მად-ლობას ვეტყვი ზეცას, იმისთვის, რომ ჩემს სამშობლოში 900 მოქალაქე ყოფილა ჩემზე უმჯობესი“.

აი სიტყვები, რომელნიც შეენის ყოველ პატიოსანს მამულიშვილს და ღიღება იმ ერს, რომელმაც წარმოშობის ასეთი შვილები!!.

რა იქნებოდა, ჰიუგოს ადგილზე, რომ გეგექტორი ყოფილიყო, როგორ მოიქცეოდა?! ჰიუგოსავით უარს იტყოდა თავის კანდიდატო-ბაზე?! ვამბობ: არა. და ამას გვიმტკიცებს თვით გეგექტორის საქციელი. მაგრამ უკაცრა-ვად შეითხველო! სად ჰიუგო და სად გეგექტო-რი?! ასეთი შედარება ხომ ჰიუგოს დაპაღურე-ბაა და ბოდინს ვიხდი ჰიუგოსთან!!.. გა-შაგებულმა გეგექტორმა რუსულ გაზეთებს მი-მართა და იქ გამოააშკარავა თავისი სიბეცე, რომ ის პირველი კაცია საქართველოში, რომ მისი ბადალი არ მოაპოვებდა საპარლამენტოდ და თუ გააშავეს, ეს გაშავება მოხდა მოხერხე-ბული ხრიკებით. მაგრამ სცდება და მწარედაც სცდება ბ. გეგექტორი!! საქართველო ისე ღმერთმა ნუ დასცეს, რომ გეგექტორისთანა უაზრო მყვირალეებზე ჩამომწყდარიყოს მისი ბედი. საქართველოს ჰყავს და ეყოლება დი-დებული შვილები, რომელნიც ღირსეულად დაიცავენ ძვირფასი სამშობლოს უფლებას და, თუ ეს ღირსეული შვილები დღეს ფარდას არიან ამოფარებულნი, ეს ისევ ბ. გეგექტორის და მისი „კომანდის“ მეოხებით ხდება, მაგრამ ამ „კომანდას“ ეს-ეს არის ბოლო ედება და აკი შიტომ წუწუნებს ასე სასირცხვოდ გეგექტო-რი და მისი ამქარი! პირობით გეგექტორი რომ ნამდვილი მოქალაქე და ღირსეული შვი-ლი ყოფილიყო თავის სამშობლოსი, არჩევ-ნებზე ასე უნდა ეთქვა: „ძვირფასო სამშობ-ლოვ! მე შენგან ვიყავი არჩეული მესამე სა-თათბიროს დეპუტატად, რამოდენიმე წლის გან-მავლობაში თვალს ადევნებდი ჩემს მოქმედე-ბას; დღეს ვადა შესრულდა და ახალ დეპუტა-ტებს ითხოვენ, რომლებსაც არჩევა შენს ხელთაა; უკეთუ ჩემნი მოქმედებანი სამშობლოს საქმეს ღირსეულად ვსახურებოდენ, მიიღეთ ჩემი თა-ვი, მე შენს განკარგულებაში ვარ, მე შენ გე-ყოფი და მომიხმარე ისე, როგორც საჭიროებ-დე, და თუ ჩემნი მოქმედებანი მოსაწონნი არ არიან, მაშინ აირჩიე სხვა უმჯობესი, მე ამით

ძლიერ ვისიამოვნებ, რომ ჩემს სამშობლოს ჩემზე უკეთესი შვილები ჰყოლია. მაგრამ ასე-თი“ აღსარებისთვის გეგექტორის ბაგენი უძლუ-რია; ის კაცი, რომელიც მხოლოდ მუცელსა და ჯიბეს ემსახურება და არა უფრო მაღალ იდეალებს, ასეთ გულის თქმას ვერ ეწევა და ეს ხომ ცხადად დაგვანახა თავის საქციელით. ქართველების ვითომ და კინკლაობას რუსულ გაზეთის ფურცლებზე ჩივის და ამით საპარ-ცხინო ლაფს ისხამს თავზე, თავის ხელითვე შემზადებულს. დეე ეს ლაფი იყოს მისთვის სათათბიროში მოქმედებისათვის გვირგვინად მიძღვნილი, მისგანვე შემზადებული და მის მი-ერვე მიღებული!!.

ამ ჟამად რუსეთის სახელმწიფო სათათბი-როში საქართველოდან ორი დეპუტატია, ვარ-ლამ გელოვანი და კ. ჩხეიძე; ჩხეიძის დეპუტა-ტობა ქართველი ერის და მუშათა წრის ნაწი-ლისაგან უარყოფილია, ვინაიდან იგი, რო-გორც გვაჩვენა მისმა წარსულმა მოქმედებამ, არ იცავს ქართველი ერის არა რომელიმე უფ-ლებას, არც ეროვნულს, არც ეკლესიურს და არც ტერიტორიულს. ქართველი ერის მთე-ლი ყურადღება დღეს მიქცეულია ვარლამ გე-ლოვანზე, რომელმაც თავის დევიზად აღიარა ქართველი ერის უფლებრივი დაცვა, თუმცა ჯერ ბევრი არაფერი გაუკეთებია; შეეძლო კი პრემიერ მინისტრის კოკოვცევის დეკლარაციის იმ მუხლებზე მიეცა შენიშვნა, რომელნიც შე-ეხება კავკასიაში უმაღლესი სასწავლებლის გა-ხსნას და განაპირა ქვეყნების რუსთაგან დასახ-ლებას (კოლონიზაცია). თუ დეპუტატი ვარლამ გელოვანი მოახერხებს და სახელმწიფო სათათ-ფიროში დასვამს ქართველი ერის შესახებ ისტო-რიულ საუბრეებზე დამყარებულ საკითხს და განა-მტკიცებს მას, მაშინ მას თამამად შეუძლია სთქვას, რომ თავის მოვალეობა შეასრულა ქართველი ერის წინაშე და თუ ამ საკითხს გვერდი აუხვია და სხვა პარტიულ საკითხებში გაითიშა, მაშინ საქართველო კვლავ იტყვის, რომ მას სათათფიროში წარმომადგენელი არ ყოლია და არც ჰყავს. აღნიშნული საკითხის დაყენება სათათბიროში ძნელი, მეტად ძნე-ლია, თუმცა არც შეუძლებელია. თავის თა-თავად ცხადია, რომ ამ საკითხს გადაელობება შედგარი ოპოზიცია. მაგრამ ეს ქართველ დე-პუტატს არ უნდა აშინებდეს, რადგანაც ასე მომხდარა სხვა სახელმწიფოთა პარლამენტებში (ინგლისი), ხოლო საქმე დროთა და გარემოე-ბათა მიხედვით მაინც გაკეთებულა; აქაც ისე

მოხდება, მით უმეტეს, რომ ქართველ ერს სულ სხვა ისტორიული უფლებები აქვს რუსეთის სახელმწიფოს სხვა ეროვნებათა შედარებით.

ეს წერილი, გვიან მოგვივიდა, მაგრამ, რადგან მნიშვნელობას მოკლებული არ არის, ვსტამბავთ.

### სახელმწიფო სათათფირო.

უწმ. სანადას ხრჯო-ხლარაცხვა.

(გაგრძელება იხ. შინ. საქ. № 20).

კრება იხსნება 2 ს. 8 წ. თავჯდომარეობს როდზიანკო.

კაჯაჯესკა. ...ჩვენ ვეცდებით დავაფასოთ სასულიერო უწყების კეთილდღეობა იმ ხალხის მდგომარეობით, რომელსაც დამოკიდებულება აქვს მასთან. პირველი მსხვილი ნაწილი, რომელიც შედის ეკლესიის შემადგენლობაში, ერის კაცებია, რომლებსაც ვეკუთნით ჩვენც. მეორე, უმნიშვნელო რიცხვით, მაგრამ მეტათ გავლენიანი საქმით, არიან ჩინოვნიკები, რომლებიც წარმოადგენენ შუაკაცებს ერობასა და მაღალ სამღვდელეობას შორის. მესამე კატეგორიას წარმოადგენს მრავალ რიცხოვანი გადატაკებული თეთრი სამღვდელეობა. და, ბოლოს, მეოთხე კატეგორიას—შავით მოსილი სამღვდელეობა, რომლებსაც ეპისკოპოსების სახით უჭირავთ წარმომადგენლების ადგილი არა მხოლოდ ეკლესიაში, არამედ მის ქვეყნიურ ცხოვრების ყველა გამოცხადებაში.

ორატორი უთითებს ერის კაცთა უფლებობაზე საეკლესიო საქმეებში. ამბობს, რომ ისინი შეზღუდული არიან სამღვდელეობისა და პოლიტიკისაგან თავის სარწმუნოებრივ საქმეებში, უფლება არა აქვთ სარწმუნოებრივ-ხნუობრივი კრებები მართონ და თუ სადმე ასეთი გაიმართა, ცდილობენ ჩააქრონ. ორატორს მოჰყავს ამის დამამტკიცებელი მაგალითებიც. უწყებას ორატორის აზრით არაფერი გაუკეთებია ამ საგნის ასე თუ ისე მოწესრიგებისთვის. მართალია, მან წარადგინა მინისტრთა საბჭოში სამრევლოს აღდგენის პროექტი, მაგრამ ისევ უკან დაიბრუნა.

ჩინოვნიკები არიან ორატორის სიტყვით ის შუა კედლები, რომლებიც უშლიან მწყემსთა და სამწყსოს ურთიერთ შორის დაახლოებას და იწვევენ მხოლოდ საყვედურს, საჩივარს, გულისწყრომას და უწყებას კი არაფერი ზომები მიუღია ამის შესახებ. ხუთი წელი

წაღია ვაცხადებთ სურვილს კანსისტორიების გადაკეთების შესახებ, მაგრამ არაფერი გვეშველა. აქ ჩვენ შევეჯახეთ უწყების არა ჩვეულებრივ სიმტკიცეს ძველი, თუმცა უეარგისი, ტრადიციების დაცვაში.

თეთრი სამღვდელეობა. ყველაზე მეტი სერიოზული სიმპტომი, რომელიც საეკლესიო და სახელმწიფო კეთილდღეობას ემუქრება, არის თეთრი სამღვდელეობის მდგომარეობა და სულიერი განწყობილება. კმაყოფილი ვართ ჩვენ სამღვდელეობით? კმაყოფილია სამღვდელეობა თავისი ხვედრით? თუ არა, მაშინ რამდენათ ვალდებულია უწყება პასუხი აგოს ამ უკმაყოფილების გამო? უდიდეს და უპირველეს ბოროტებათ მიჩნეულია აქამდის დაუბოლოვებელი თეთრი სამღვდელეობების ნივთიერად უზრუნველყოფის საკითხი და მეორეთ უფლების არ ქონა, რომ მღვდლებს შეეძლოთ თავისუფლად დატოვონ მღვდლობის ხარისხი, რადგან შესაძლებელია თავისი რწმენით ან ბუნებით ბევრ მათგანს არ შეუძლია გულწრფელად და ღირსეულად შეასრულოს მწყემსის მოვალეობა. კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც უნდა შეცვლილყო პოლიტიკური და მოქალაქობრივი უფლებების შეზღუდვა იმ სასულიერო პირთა, რომელთაც ნება-ყოფლობით, გინდ ძალით დაუტევეს სამღვდლო ხარისხი, როგორც თქვენ გენახსოვრებათ, გავიდა მესამე სათათბიროში, მაგრამ სახელმწიფო საბჭომ არ მიიღო სათათბიროს რედაქციით. მაგრამ სახელმწიფოს ხომ ყავს სტატუს-სეკრეტრები, უკანასკნელად სეკრეტრები და ყველა ჯურის სოვეტნიკები, რომელთაც შეეძლოთ შეეცვალათ სათათფიროს რედაქცია და წარმოედგინათ ჩვენთვის ხელახალ განსახილველად და მაშინ შესაძლებელია, ახლად შესწორებული კანონ-პროექტი, რომლის დედა აზრი დაცული იქნებოდა (მის შესახებ უთანხმოება არ ყოფილა) გასულიყო. სამწუხაროდ ეს, ასე არ უქნიათ. რაც შეეხება სამღვდელეობის ნივთიერად უზრუნველყოფის საკითხს, მიუხედავად იმისა რომ ყოველ წლობით იღებენ დამატებით 600,000 მ., ეს საკითხი თითქმის არ წაწეულა წინ. ისევ ის მოწყალეების გამოღება მრევლის მიერ მღვდლის სასარგებლოდ. კომისიას, პოდკომისიას, კიდევ კომისიას, რომლებიც ამ საკითხის თაობაზე მუშაობდნენ სინოდში, ჯერ არ მოუციათ არაფერი საგრძნობი შედეგი, ამავე დროს კი სოფლის სამღვდელეობის მდგომარეობა ამ უკანასკნელ წლებში სა-



გრძნობლად დაქვეითდა, სოფლის ცხოვრების სხვადასხვა მიზეზების მეოხებით, რომელიც წყალობით ნივთიერად უზრუნველყოფა მღვდლებისა შრეველის მხრივ ძველებურზე უფრო შემცირდა. მე შეკრებილი მაქვს ვასაოცარი მაგალითები ამ საკითხზე, მაგრამ რომ არ დავლალო თქვენი ყურადღება, დავკმაყოფილდები ერთი ცნობით, რომელიც მივიღე ტულის გუბერნიიდან, ისეთი კაცისაგან, რომელიც შესამჩნევია, როგორც წინამძღვარი, მაშენებელი ეკლესიისა და მასთან თვისი ზნეობრივი თვისებებით და ღირსია ღრმა პატივის ცემისა და სრული ნდობისა.

**მარკოვი 2-რე (აღვლილიდან) ეს გრიგორი პეტროვი?**

**კოვალევსკი.** აი რას იწერება ის: „თანამედროვე მღვდლის მძიმე ტრავმების განცდას არ უსურვებდი მტერსაც კი. რა რიგ მწყურია, რომ სამღვდლოების უზრუნველყოფის მოწინააღმდეგენი იტვირთებდნენ ჩვენ ჯვარს ერთი წლით მაინც. მაშინ იგინი იგრძნობდნენ მის მტრის მეტ სიმძიმეს და ჩვენი მდგომარეობის მთელ საშინელებას. ჩვენი ტანჯვის უმთავრესი მიზეზი იბადება სამღვდლოების ნივთიერად უზრუნველყოფის თანამედროვე პირობებში, რომლებიც მარტოდენ ერთი მოლიანი ბოროტი ვანკიცხვია ტრაპეზის მოსამსახურეებისა. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, მტკიცეთ ადგია გლეხი საუკუნოებით დაკანონებულ სამღვდლო-მოქმედო საჩუქარზე, თუ იმდენს იძლევა, რამდენიც მისი სურვილია. ეს მისაკემელი ხომ ნებაყოფლობითია. ამ უკანასკნელ წლებში, როცა ძველი წესები დავიწყებას ეძლევიან, სასყიდლის გაღების ჩვეულება თანდათან ჰქრება და ბოლოს ეს სასყიდელი მინიმუმამდის შემცირდა, იძულებული ხდები სიმკაცრეს მიმართო, რომ ფული აიღო: არ თხოვ და შიმშილით ამოგძვრება სული.

დღემდის პარაკლისზე 3 კაპეის იძლეოდნენ, დღეს კი კაპეისაც ძლივს იძლევიან. აღუთქვამს დედაკაცი პარაკლისს ყველა წმინდანებს, რომელიც კი მოაგონდება, და გთხოვს როცა ერთს გაითავებ, მეორე დიწყო და კაპეიკობით გისწორებს ანგარიშს. ასეთ პარაკლისებს ზოგიერთი დედაკაცი ხშირათ ორმოცს გადაგახდევინებს აღდგომის კვირაშიც კი; მა-

შინ როცა მრევლში უნდა იარო, ამ დროე იგალობე ტროპრები და საგალობლები, იკითხე სახარება, კვერეკსები, რა თქმა უნდა გულმოდგინეთ და ბეჯითად და ყველა ამისთვის მიიღე ერთი კაპეიკი. კაპეიკათვე უნდა შეუსრულო პანაშვიდიც. ზოგიერთი გულადი დედაკაციები გთხოვენ ორი პანაშვიდი გადაუხადო ერთ კაპეიკათ და ორივეცალცალკე. აღსარება — კაპეიკათ. მაგრამ, როცა იმავ გლეხს სთხოვ წყალი მოგიტანოს მახლობელ წყაროდან ან ნაკადულიდან და კაპეიკს შეიძლევე, დაგცინის და არც ორ შაურათ შეგისრულებს თხოვნას. გლეხები, რომლებიც დაჩვეულნი არიან ერთნაირ გადასახადს, ერთნაირადვე უბღიან მღვდელსაც, მიუხედავად იმისა მდიდარია, თუ ღარიბი. უკანასკნელ დროს, განაგრძობს იგი, შესამჩნევად იზრდება მრევლის ისეთი ტიპი, რომელიც ჩვეულებრივ ათი შაურის ნაცვლად ნათლობისთვის, იძლევა ორ შაურს და ისიც დამატებით: „ღმერთს მადლობა შესწირე, რომ ორ შაურს გაძლევე, — ჩვენ არავის დაუფალებივართ მღვდელ-მოქმედებაში ქირა გაძლიოთ“.

ამას იკით, ბატონებო, ვხა არ არის. არსებული წესი მრევლის მხრივ მღვდლის შრომის ნებაყოფლობით დაფასებისა აბსურდამდის მივიდა და ყოველი დაახლოება თითო კაპეიკობით ამ საზღვრამდე აშკარად ყოფს მღვდლის ხარისხის და მისი შრომის სასაღიბლოდ ავადებას. მაგრამ ამ მოვლენებთან ერთად არსებობენ დანარჩენებიც: სოფლის საღვდლოებას აქვს უფლება, ზოგიერთ შემთხვევაში ხომ უნდა მიმართოთ მას აუცილებლად. ასეთ შემთხვევებში, რასაკვირველია, მღვდელი ისარგებლებს თავისი უფლებით და ვინაიდგან იძულებული იქნება უზრუნველყოს თავისი ქონებრივი და ოჯახური კეთილდღეობა, აიძულებს მრევლსაც მისცეს მეტი ფასი ჯვარის წერისთვის, მეტრიკული ამოწერილობისათვის და დასაფლავებისათვის. მრევლი იხდის, მაგრამ თავის თავს კი უკმაყოფილოდ და შეურაცხყოფილად თელის. შესაძლებელია ნორმალური მწყემსური მოღვაწეობა იქ, სადაც არსებობს მრევლსა და მღვდელ შუა უკმაყოფილება ვიწრო მატერიალურ ინტერესების ნიადაგზე?

მაგრამ ერთი ისეთი არა ნორმალური დამოკიდებულების მიზეზი რომ მოცხადოს მღვდელსა და მრევლს შორის, როგორიც არის სამღვდლოების ჯამაგირით უზრუნველ-

ყოფა, საჭირო არ არის, ხელოვნურად არ უნდა ავმართოთ, სხვა მიზეზები, რომლებიც მათ ერთი მეორის წინააღმდეგ აამხედრებენ და მათ შორის დამოკიდებულებას გააძწევენ. მესამე სათათბიროში ხშირად ისმოდა კათედრიდან გულისწყრომა სამღვდლოებაზე, რომელსაც ვითომც შეაქვს საზოგადოებაში წოდებრივი განხეთქილება. მე არ უარყოფ, რასაკვირველია, რომ ისმოდა სხვადასხვა სიტყვები, რომლებმაც მისცეს საბუთი ამ არა სასურველ პოლიტიკას, მაგრამ დანაშაულისათვის სათათბირო მასში, რომ სასულიერო წოდება ჩათრულ იქნა გამწვავებულ პოლიტიკურ ბრძოლაში, რომელმაც უკანასკნელად გასწყვიტა ადგილობრ კეთილი განწყობილება უფრო განათლებულ მცხოვრებლების ნაწილსა და სამღვდლოებას შორის. ყველგან ისმის ჩივილი, რომ მღვდლის ცხოვრება აუტანელი შეიქნა მას შემდეგ, რაც ის დაუპირდაპირეს შევიდრთა ყველა ინტელიგენტების წარმომადგენლებს. უწინ იგი მიაჩნდათ თავისიანად, ის მიღებული იყო ქალაქის, სოფლის და დაბის ყველა კრებათ თუ დიდათ განათლებულ წრეებში. ეხლა სახლში და განსაკუთრებით მკაცრობის დროს, მაგ. საგუბერნიო ქალაქში საქმეებისგამო, შემთხვევით შეხვედრის დროს, ის ეჯახება ისეთ მოვლენას, რომელიც პირველად აკვირებს მას, მაგრამ ხედავს, რომ იძულებულია განიცადოს უნდობლობა, მტრული განწყობილება და უცხოება. განა საკვირველია, რომ ასეთ პირობებში მეტი ნაწილი სემინარიელებისა გაურბის სასულიერო წოდებას, და სასულიერო სასწავლებლები უკვე არ იძლევიან მას, რასაც მათგან გამოელიან. საკმარისია მოვიყვანოთ ერთი მკვეთრი მაგალითი: წელს ტულის სასულიერო სემინარიის ათავეებს 45 მოწაფე, მათგან მხოლოდ ექვსმა განაცხადა სურვილი მღვდლად წასულია. — კურს დამთავრებულების 87 პროცენტი სხვა სამსახურს ეძებს. უწყებამ ობერპროკურორის სახით საბიუჯეტო კომისიის სხდომებზე საჭიროდ დაინახა სემინარიელებს მიცემოდა საშეღებო უმაღლეს საერო სასწავლებლებში სწავლის მიღებისა. მე მხოლოდ დიდ სამწუხაროდ მიმაჩნია, რომ ბ. ობერპროკურორმა არ განაგრძო თავისი მსჯელობა და არ დაიკვა ის სახელმწიფო საბჭოში 8 და 10 მაისს, როდესაც იქ ირჩეოდა საკითხი, მიეღოთ თუ არა მაღალ სასწავლებლებში ის პირები, რომელთაც არ გაუთავებიათ კლასიკური გემნაზია, მაგრამ

ჩვენთვის საკმარისია, რომ საბიუჯეტო კომისიაში გამოიკვა, რომ დღეს სემინარიას არ შეუძლიან შეავსოს სამღვდლოების რაზმი. აშკარაა, რომ ასეთ მდგომარეობაში საჭიროა რომელიმე სხვა ზომები. და რას ვხედავთ? იჩეკებიან ვოსტორგოვის კურსები, რომლებიც თავისთავად წარმოადგენენ საკლდე ჩონჩხს სპეციალური სასწავლებლისას, სადაც ძლივ-ძლივობით, უცნაურ ნახევარი წლის განმავლობაში ამზადებენ ისეთ პირებს, რომლებიც ვერ ამაყოფილებენ მოძღვრის ვერც ერთ მოთხოვნილებას და ესეც ეკლესიის მდგომარეობის მძიმე ხანაში. პრინციპიალურად (ეს იყო ნათქვამი საბიუჯეტო კომისიაში), არ შეიძლება სპეციალური კურსების წინააღმდეგ გალაშქრება, რომელიც შესავალ ვხას აძლევს სხვა წოდების და პროფესიის პირებს სასულიერო წოდებაში, და ეს საშუალება მიზნის შესაფერისი უნდა იყოს, მაგრამ ასეთი კურსები უნდა იყოს სერიოზული, რომლებმაც უნდა მისცენ საზოგადო და საღვთისმეტყველო განვითარება. ისინი უნდა იყვენ ორ-სამ წლიანი. მათ სათავეში უნდა უდგეს ყოველად სამღვდლო — აკადემიული. ასეთი სახის კურსები შეიძლება ჩაითვალოს დამატებით საშეღებო, მწყემსთა მოსამზადებლად. თუ ვოსტორგოვის კურსებს ხელს შეეწყობთ, მაშინ სასულიერო წოდების გაჯანმრთელების მაგიერ, ჩვენ მოვიზიდავთ უფარგის და არა სასურველ ელემენტებს იმ წრეში, რომელიც საჭიროა ყოველი ღონე ვილონოთ, რომ შესაფერ სიმაღლეზე დაეყენოთ, თუ გვინდა შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ მართლმადიდებელი სარწმუნოება.

**შავა სამღვდლოება.** შედარებით კარგ პირობებში იმყოფება, ის მკირე რიცხოვანი ჯგუფი სამღვდლოებისა, რომელიც განაგებს ეკლესიის საქმეებს მე არ შეეჩერები მონასტრებზე და მათ ქონებაზე, რომლითაც ისინი სარგებლობენ, ეს სხვა დარგს ეკუთვნის, მე შეეჩერები შავი სამღვდლოების მაღალ წარმომადგენლებზე, იერარქებზე და ვაგახსენებთ, რომ ამ უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში საბიუჯეტო კომისიაშიც და სახელმწიფო სათათბიროშიც ბევრი რამ ითქვა ამის შესახებ. ბევრი იყო თქმული საეკლესიო კრების წინასწარ სხდომებზეც.

ამის შემდეგ ორატორს მოყავს ფორმულა, რომელიც შეეხება არქივების საკითხს. ამ ფორმულის ძალით არქივების ჯამაგირში უნდა იყოს დამყარებული ერთგვარი წესი. სა-

ხელდობრ, თუ ვინცობაა ეპარქიებიდან შემოსავალი აღუმატება შემოღებულ ჯამაგირს, მაშინ ზედმეტი უნდა ხმარდებოდეს საქველმოქმედო და ეპარქიის განმანათლებელ საქმეებს, მის სამღვდლოებს და სამწყსოს, და განაგრძობს: თითონ უწყება თვლიდა ამ სურვილს შესაძლებლად და კანონიერად, მაგრამ ჩვენ ეს ჯერ კანონპროექტის სახითაც არა გვაქვს. შემდეგ ორატორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ არ სუფევს ნორმალური განწყობილება არა თუ არქიელსა და სამწყსოს შორის, არამედ არქიელსა და მისი ეპარქიის სამღვდლოების შორის და გულდაწვეტილი კითხულობს: სად არის არქიელების პირდაპირი კეთილი გავლენა სამღვდლოებაზე? სად არის საჭირო ურთიერთობა სამღვდლოებისა თავის ეპისკოპოსებთან? როდესაც ჩვენ ამ გარემოებაზე მიუთითებთ, მზად აქვთ ერთი და იგივე პასუხი, რომელიც ხუთი წელიწადია, რაც გვესმის. გვეუბნებიან: ყოველი ზომები ეკლესიის განახლებისათვის ადგილობრივი საეკლესიო კრების საქმეაო. მესამე სახელმწიფო სათათბირომ, რომ დააბოლოვა თავისი ხუთი წლისმუშაობა 1912 წ., გამოთქვა სურვილი, მოწვეულიყო სასულიერო კრება ახლო მომავალში. კრება არ მოუწვევიათ და არც ვიცით შევიქნებით მისი თანამედროვე თუ არა. მე პირადად დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ შემდეგ მომავალი თაობა, ჩვენი შვილები, შეიძლება მოესწრონ, მაგრამ ჩვენ ხომ უნდა ვიმოქმედოთ და გავაძაროთ ცხოვრებაში ყოველივე ის, რაც შეიძლება გაკეთდეს ჩვენი არსებობის ფარგლებში... სწორედ ამიტომაც რომ არაფერ პრინციპიალურ კამათს არ ვეწეოთ შესახებ მოსალოდნელ საეკლ. კრებისა, როგორც უკვე შენიშნა სახელმწ. დუმამ, და წინ ვაყენებთ ისეთ კითხვებს, რომლის წინ დაყენება საჭიროა და რომლითაც მხედველობაში გვყავს ცოცხალი ადამიანები. მე ვფიქრობ, რომ ჩვეულებრივი საეკლესიო და სამოქალაქო კანონმდებლობითაც კი შეიძლება ჩავაყენოთ ეს ცოცხალი ადამიანები, ჩვენი თანამედროვეები, უკეთეს პირობებში. მე ვფიქრობ, ადამიანებიდგან რომ დავიწყოთ, უფრო ჭკარა მივახწევთ სულიერ ცხოვრების აღდგინებას და განათლებას, ვიდრე მათი ბედისამარა მიტოვებით იმ იმედით, რომ განუსაზღვრელ მომავალში გადახალისდებიან ჩვენი დაწესებულებები. ძალიან ვწუხვარ, რომ დაწესებულებები, როგორც სქემა, წინ ეღობებიან და ფარავენ ადამიანს, მის სულის

თანამედროვე სასულიერო მთავრობის წარმოდგენაში. მას სულ ის ჰგონია, რომ კაცი შექმნილია კანონისათვის და არა კანონი კაცისათვის. შეიძლება ამიტომაცაა, რომ ობერპროკურორი სრულიად დამშვიდებით ახვევს თავზე მომავალ კრებას თანამედროვე უწესრიგობის პასუხის მგებლობას და პირდაპირ კითხვაზე, როდის უნდა მოხდეს ყოველივე ეს, გიპასუხებს, რომ მას არ აქვს ნიჭი წინასწარ გრძნობისა. ამ ნიჭს და საზოგადოთ მომავალში ჩახედვის უნარს ჩვენ არ მოველით მთავრობიდან, ამდენათ განებივრებული არ ვართ, და არც ობერპროკურორიდან მოვიტხოვთ, მხოლოდ გვგონია, რომ შესაძლებელია მოელოდე და გულწრფელად უსურვო მას ეს თვლების ახელა, განქვრეცა აწმყოსი, განქვრეტა, რომლის შესახებ, მთავრობა, ალბათ, ვერ აღლევს თავის თავს გარკვეულ ანგარიშს. იგი რომ სრულიად გარკვევით ხედავდეს საქმის ვითარებას, შეძრწუნდებოდა პასუხის მგებლობის შიშით, და ობერპროკურორიც უთუოდ შემოიკრებდა მთელ თავის შემონახულ კეთილნებას, რომ დაუყენებლივ მოიწვია კრება ვინაიდან ეს მიანიჭა მას სავალდებულოთ არა მარტო ეკლესიის გასახლებლად, არამედ დღევანდელ დამოკიდებულებათა შესაკვლელად. თუ მას ცოტათი მაინც ეჭვი შეაქვს რომ კრება მიზნის და დროს შესაფერი არ არის, მაშინ მას უნდა ქონდეს იმდენი მხნეობა, რომ ესლავე კანონიერი გზით აღადგინოს დარღვეული თანასწორობა. სასულიერო უფლებების წარმომადგენლების გულციობა და უმოქმედობა ესლანდელ საშიშ დროს, პეტრე დიდის ენით რომ ვთქვათ, სიკვდილს უდრის, და ამიტომ სასულიერო მთავრობა ნუ გვისაყვედურებს ჩვენ, რომლებიც მივისწრაფით სიციცხლისაკენ და გვეზინია სიკვდილისა. თუ ჩვენ ჩვენი საკუთარი მოსაზრებით ვისარგებლებთ კანონმდებლობითი ინიციატივის უფლებით, რადგანაც ვხედავთ, რომ ის ზომები, რომლებიც უნდა შეტანილიყო სასულიერო უწყების მიერ, ექვსი წლის განმავლობაში არ გამოჩენილან.

(შემდეგი იქნება).

### კვირიდან-კვირამდე

ქუთაისის მაზრის უფროსმა კორღანოვმა „სასოფლო გაზეთის“ რედაქციას სთხოვა უგზავნოს მთელი მაზრის ყველა სასოფლო კანკულარიებს ხსენებული გაზეთი 1 თიბათვიდან წლის ბოლომდის, ხვედრ ფულს ერთი თვის განმავლობაში შემოვიტანო.

ქუთაისის გუბერნატორმა გენ. სლავოჩინსკიმ ცირკულიარით მიმართა ამას წინად მაზრის უფროსებს ხელი შეუწყონ ამ სასარგებლო გაზეთის გავრცელებას, იმედია ჩვენი სოფლების სამღვდელთაგან არ ჩამორჩება ამ კეთილ საქმეს და ისიც შეძლებისდაგვარად შეაგნებინებს ხალხს ამ გაზეთის მნიშვნელობას.

დებ. კ. ჩხეიძემ „ზაკ. რეჩს“ დებეშით აცნობა, რომ სათათბირომ გამოსთქვა სურვილი გავგასაას უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. ამ საგნის შესახებ ულაპარაკნია დებ. ვარლამ გელოვანს. (თემი).

ჩვენ მკითხველებს მოეხსენებათ, თუ რა აურ-ზაური არის ატეხილი მაზე, თუ სად ააგონ პოლიტენიკუმი საბურთალოზე თუ ნავთლუხში. ძველი კომისიის გადაწყვეტილება, რომ ნავთლულში აშენდეს პოლიტენიკუმი, როგორც ვიცით, მეფის მოადგილემ უარჰყო. ახლად ადგილის ასარჩევად არჩეულ იქმნა საუწყებათაშორისო კომისია. რომელსაც ჯერ თავისი აზრი არ გამოუთქვამს. ამ დღეებში თბილისის ქალაქის გამგეობის მინდობილობით ნიადავის მკვლევარმა კალინინმა დაამთავრა საბურთალოს და ნავთლულის ნიადავის გამოკვლევა. მისი აზრით ნავთლულის ნიადავი არ არის შესაფერი სამეურნეო კულტურისთვის; საბურთალოსი კი მეტად გამოსაყენებელია ამ შხრით.

კვირას, 9 ივნისს, განსვენებულ პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების წლის თავზე, დიდუხის ეკლესიაში ქ. შ. წ. კ. გამაურცელებულ

საზოგადოების გამგეობის თაოსნობით გადახდილ იქმნა წლის წირვა და პანაშვიდი, რომლის დროსაც შინაარსიანი სიტყვები წარმოსთქვეს დიდუხის ეკლესიის წინამძღვარმა დეკ. ი. მირიანაშვილმა და დეკ. გ. ასათიანმა: დაესწრენ წერ. კითხვისა, სხვა ქართულ დაწესებულება-საზოგადოებათა და პრესის წარმომადგენელი და პატივის მკემელი განსვენებულის ხსოვნისა (სახ. გ.).

დღემდე თბილისის პოლიტენიკუმის სასარგებლოდ სხვადასხვა საზოგადოებათა ღ პირებისგან გამოღებულია: ყოველწლიურ დახმარებად სხვადასხვა ქალაქისა და დაწესებულებისაგან აღთქმული აქვს 56,000 მ., პოლიტენიკუმს ერთდროულად აძლევენ: ქალაქი თფილისი 130,000 მ., ფულად და მიწას ნავთლულში, ქალაქი ბაქო 500,000 მ., ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოება 50,000 მ., ტფ. საკომერციო ბანკი 30,000 მ., ტფ. საურთიერთო კრედიტის საზოგადოება 25,000 მ., ტფ. გუბერნიის თავდა-აზნაურობა 10,000 მ., ფულად და მიწას საბურთალოზე, კერძო შემოწირულება 27,000 მ., შავი ქვის მრეწველთა საბჭო 5,000 მ. ქალაქები ნუხა, ოზურგეთი და გეორგიევსკი და ტფ. საკრებულო 1,000 მ., ფოთი და ლეჩქორანი 300 მ., ყოველწლიურ დახმარებას აძლევენ: ქალაქი თფილისი 30,000 მ., ბაქოს ნავთის მრეწველთა საბჭო 17,000 მ., ბათომი, განჯა, შუშა და ქიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭო 2,000 მ. თითო, ერევანი 1,000 მ. და გუმბრი 300 მან. (სახ. გახ.)

ნაფიკმა ვეჭილმა იოსებ და მისმა ძმამ ნიკოლოზ ბარათაშვილებმა თავის სოფლის გლეხებს დაუთმეს უსასყიდლოთ თავისი მამული. ნაჩუქარი მამულის რაოდენობა შემდეგია 111 დეს. სანადელო სახნავი მიწა, თოთხმეტ ადგილას ვენახები და ბაღები, და სამოცი დესტინაც საკუთარი სახნავი მამული.

სინოდი ამუშავებს პროექტს ორი სასულიერო აკადემიის გახსნის შესახებ ტომსკში და ვილნოში. პირველისთვის ძლიერ ზრუნავს მოსკოვის მიტროპოლიტი მაკარი. ტომსკის აკადემიასთან დაარსებული იქნება, კახანის აკადემიასავით, აღმოსავლეთ ენათა შესასწავლი კათედრა მისიონერებისთვის. ვილნოში — კი მიზნათ ექნება კათოლიკობას ებრძოლოს. აქ დაარსებული იქნება განსაკუთრებული კათედრა დასავლეთ ეკლესიის ისტორიის შესასწავლად.

კიევის სამღვდლოებამ ამოიჩინა კომისია, ეპარქიალური დაწესებულების წარმომადგენლებიდან, რომელმაც უნდა შეიმუშაოს სასულიერო ბანკის დაარსების პროექტი. ეს ბანკი დახმარებას გაუწევს, როგორც სასულიერო დაწესებულებებს, ისე კერძო პირებსაც. ძირითადი თანხა ღებება ეპარქიალურ დაწესებულებების, სანთლის ქარხნის და დასახლვევ ფონდიდან. (Бирж. Вѣд.).

წელს გურია-სამეგრელოს სამღვდლოების წლიურ კრებაზე „შინაური საქმეების“ რედაქციამ დაურიგა ბლადოჩინებს და დეპუტატებს წიგნაკი „სინამდვილე სახარებისა“ მათ მიერ რწმუნებულ ეკლესიებში უსასყიდლოთ დასარიგებლად, როგორც ცნობა მოგვდის ბევრ ეკლესიებს არ მიუღია და ნეტა რა მიზეზით?

**ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება**  
თბილისი, 12 ივნისი 1913 წ.

— ამა წლის ივლისში ქართული სამეურნეო საზოგადოება მართავს ქ. თბილისში კოოპერატიულ კურსებს.

კურსები მოკლე ვადიანია და გაგრძელდება სულ ათს დღეს 15—25 ივლისამდის. კურსებზე წაითხული იქნება ლექციები კოოპერაციის სხვადასხვა საკითხზე. ზოლო უმთავრესი ყურადღება აქვს მიქცეული სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო კოოპერაციას.

ლექციებს წაიკითხავენ რუსულად და ქართულად. ლექტორებად მოწვეულნი არიან როგორც რუსეთის ცნობილი ლექტორები, ისე ადგილობრივი ლექტორებიც,

ლექციები განზრახულია სოფლის ინტელიგენციისთვის და უმთავრესად იმისათვის, ვინც ხელმძღვანელობს კოოპერატიულ დაწესებულებათ, ან ასეთ ხელმძღვანელობას აპირებს.

ამისათვის სამეურნეო საზოგადოება ეცდება სოფლიდან ჩამოსულ პირთ ყოველგვარი დახმარება გაუწიოს, რომ თბილისში ცხოვრება ათი დღის განმავლობაში ძვირი არ დაუჯდეთ. ამათ შეეძლება უფასოდ მოსმენა ყველა ლექციებისა (გადახდება მხოლოდ საანგარიშო ბლანკებში ათი შაურიდან ერთ მანეთამდე). საზოგადოებას ნაშოვნია აქვს 40 კაცისათვის უფასო ბინა და საშუალება ექნება ამ 40 კაცს სასმელ-საქმელი მიაწოდოს დღეში არა უძვირეს 30 კპ. თითოს.

რადგანაც უფასო ბინის და შეღავათიან პირობებში საქმელ-სასმელს მიმღებთა რიცხვი განსაზღვრულია, საზოგადოება სთხოვს კოოპერატიულ დაწესებულებათა გამგეობებს და იმ კერძო პირთ, ვინც სოფლიდან კურსებზე ჩამოსვლას მოისურვებს, შემოუთვალოს ეს საზოგადოებას (აღრესი: Тифлисѣ, Барятинская 5, Грузинскому Обществу Сельскаго Хозяйства.) არა უგვიანეს 1 ივლისისა. თუ სოფლიდან ჩამოსულთა რიცხვი 40 კაცზე მეტი აღმოჩნდა, უფასო ბინაზე დგომის უპირატესობა მიეცემათ იმათ, ვისი განცხადებაც უფრო ადრე იქნება მიღებული.

კერძო მსმენელთათვის ყველა ლექციების მოსმენა ეღირება 2 მან. ან თითო ლექციისა (1-2 საათი) 20 კპ.

- პროგრამა კურსებისა:**
1. კოოპერაციის განვითარება, 4 საათი (ქართულად) ლექტორი სვ. რ. ვახვახიშვილი.
  2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, 8—12 საათი (რუსულად). ლექტორი ა. ევდოკიმოვი.

3. წვრილი კრედიტის დაწესებულებანი, 6-7 საათი (რუსულად). ლექტორი ა. ა. ორლოვი.

4. ანგარიშის და საქმის წარმოება წვრილი კრედიტის კოპერატ. დაწესებულებებში - 12 საათი (ქართულად) ლექტორი კ. ზ. კანდელი. და ა. მ. კახელაძე.

5. მომხმარებელი საზოგადოებანი 5-7 საათი (რუსულად) ლექტორი ა. ა. ორლოვი.

6. კოოპერატიული მოძრაობა საქართველოში - 4 საათი (ქართულად) ლექტორი ი. გ. ქუთათელაძე.

7. ჩვენი ეკონომიური ცხოვრება და კოოპერაცია - 3 საათი (ქართულად) ლექტორი დავ. ვ. ვახანძე.

ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭო.

**წმ. სოფია კონსტანტინოპოლში თურქების მიერ დაწერობამდის და შექმდე.**

(აღჯანუთის ომის გამო).

პირველად წმ. სოფია დაარსებულ იქმნა მოციქულთა სწორის კონსტანტინეს მიერ მეოთხე საუკუნეში, მაგრამ ეკლესია იყო ხის და გადაიწვა ცეცხლის გაჩენისა გამო. მეორედ იგი აღაშენა იუსტინიანე მეფემ და როგორც მოწმობენ იმ დროის მოგზაურნი, ადამიანის ენა ვერ გამოსთქვამდა მის მშვენიერებას და ღიღებულებას. „იმპერატორმა აღაშენა ღიღებულნი და შეუდარებელი შენობა, რომლის მსგავსი ისტორიამ არ იცის, აღაშენა ეკლესია წმ. სოფიისა ძვირფასი, რომლის აღწერას ენა ვერ შეძლებს,“ ამბობს იუსტინიანეს დროის ბერძენთა მემკვიდრე. იუსტინიანეს დაუჯდა ამ ტაძრის აშენება სამნახევარი მილიონი მანეთი (ჩვენი ანგარიშით) და გაგრძელდა მისი შენება ექვს წელიწადს ხელმძღვანელობითა იმ დროის შესანიშნავთა ხუროთმოძღვართა ახთიმოზ ტრალესელითა, ისიდორე მილეთელისა და ეგნატე მაგისტრისათა. „მადლობა ღმერთს, რომელმაც ღირსი გამხადა ამ ღიღი საქმის შესრულებისა! შეგ ვარდავამეტე შენ სოლომონ! მედიდურად წარმოსთქვა ღიღებუ-

ლმა-იმპერატორმა-აღმაშენებელმა, როდესაც პატრიარქმა აკურთხა ახლად აშენებული ტაძარი. და მართლაც საუცხოვო სანახაობის წარმოადგენდა ხსენებული ტაძარი, მას ჰქონდა მრავალი ტრაპეზი (წელიწადის დღეთა რიცხვისამებრ) ოქრო-ვერცხლით მოჭედული და ძვირფასი ქვებით შემკული, ჰქონდა ამდენივე კარი ბრინჯაოთი მოჭედული დი ოქროთი დაფერილი. ეკლესიის კედლებში იყო გაყვანილი მშვენიერი სასმელი წყლები. უმთავრეს საკურთხეველში იყო დადგმული ოქროს ტრაპეზი შესანიშნავი ხელოვნებით და ჩუქურთმით ნაკეთები, გარეშემო ჩამოკიდებული იმპერატორების ძვირფასი ოქროს გვირგვინებით, რომლებიც ოქროსავე ძეწკვებით იყვნენ ერთმანეთზე გადაბმული. ეს შესანიშნავი ტრაპეზი მოტაცებულ იქმნა მეოთხე ჯვაროსანთა ომის დროს ვენეციელთ (დანდოლოს) მიერ და, როგორც გარდმოცემა მოგვითხრობს, იგი ვითომც ახლაც დაინახება ხოლმე მარმარილოს ზღვის ძირზე წყნარ ამინდში, სადაც ჩაიძირა იგი სხვა მოტაცებულ ძვირფას ნივთებთან ერთად ღელეტების დროს, რომელიც ეწიათ მაშინ საცოდავ მკრეხელებს.\*) ათასობით მსახურებდნენ ეკლესიის მსახურნი ამ არა ჩვეულებრივ ტაძარში, რომელიც იწოდებოდა ბერძენთაგან „ღიღებულ ეკლესიად“. სახელი და ღიღება წმ. სოფიისა გაითქვა მთელ ქვეყანაზე და ყველგან აღმოსავლეთის საქრისტიანო ქვეყნებში ტაძრებს აშენებდნენ წმ. სოფიის მსგავსად. ტაძარი ესე შეიქნა ყოველი მხრით ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ნიმუშად. ქრისტიანები მეოთხე საუკუნიდან დაწყებული 1453 წლამდე სტაბულოდნენ ღვთის სიტყვით წმ. სოფიის ტაძარში. მაგრამ საკვირველ და მიუწდომელ არს განგება ღვთისა! 1453 წელში მოაკლდნენ ქრისტიანები ამ თავის ღიღებას, წმ. სოფიის და თავისი სიკაცბლეც მაშინ ვასწირეს დაუზოგავად.

მეშვიდე საუკუნეში, იმ დროს, როდესაც ევროპის ხალხთა შორის სისწრაფით ვრცელდებოდა ქრისტიანობა, აზიაში აღორძინდა მა-

\*) საეკლესიო ნივთთა მძარცველნი.

ჰმადის სარწმუნოება, მაჰმადის მიერვე დაარსებული. პირველი მიმდევარი ამ სარწმუნოებისა იყვნენ მისივე თანამემამულენი-არაბნი. თურქებიც თავგამოდებული მიმდევარი შეიქნენ ამ ახალი სარწმუნოებისა, რომლებიც ავრცელებდნენ მას ცეცხლითა და მახვილით და რომელთაც IX—XII საუკუნეებში დააფუძნეს შუა აზიაში რამდენიმე სახელმწიფო, სხვათა შორის დაიპყრეს პალესტინა იერუსალიმით, ამ ძვირფასი ქრისტიანული სიწმინდით.

აწინდელი საფუძველი თურქთა სამფლობელოსი დასდვა ოსმანის შვილმა ორხანმა, რომელმაც დაიპყრო 1326 წ. ბრუსა, 1330 წ. ნიკეა, 1339 წ. ნიკომიდია და ამნაირად შეიქნა მპყრობელი მცირე აზიისა გელსსკტამდე. მან მიიღო ხარისხი ფაღიშახისა და უწოდა თავის სასახლის ბქეს „დიდი ბქე“, „დიდი პორტა“. ორხანის პირველმა შვილმა მამაკმა სოლიმანმა პირველმა შესდგა ფეხი ევროპაში, და იწყო დაპყრობა ბალკანეთის კულნძულეებიდან. მეორე შვილმა ორხანისამ მურად პირველმა დაიპყრო 1360 წ. აღრიანოპოლი და გახდა იგი სატახტო ქალიქად დაიპყრო მაკედონია და საშინლად შემუსრა ბულგარელები და სერბელები. ბისანტიის იმპერია ყოველი მხრიდან გარშემორტყმული შექმნა ოსმალეთაგან და მოწყვეტილიქმნა დასავლეთისაგან. მურადის შვილმა და მემკვიდრემ მაჰმად მეორემ დაასრულა ბიზანტიის იმპერიის დაპყრობა 29 მაისს 1453 წ. კონსტანტინეპოლის აღებით. თურქების მიერ ეგვიპტის, სირიის და სხვა აზიისა და ევროპის სახელმწიფოთა დაპყრობის შემდეგ ხმელეთისა და ზღვის ძალი ოსმალთა წარმოდგენდა საშინელებას და თავზარსა სცემდა მეზობელ ერებს 50 წლის განმავლობაში.

დიდი უბედურება და საცოდნობა დატრიალდა კონსტანტინეპოლის აღების დროს, ქრისტიანების სისხლი მდინარესავით სდიოდა. შემინებულმა ქრისტიანებმა მიაშურეს წმ. სოფიის ტაძარს, ეგონათ იქ მაინც დაიფარავდნენ თავს, მაგრამ ცეცხლი და მახვილი მტერთა ყველგან შედოიდა და უდმობელად ელეტდა მათ. თუმცა თურქებმა დაიპყრეს დიდებული

სიწმინდე, მაგრამ ისინიც კი გაკვირდნენ ამ სიწმინდის სიდიადით. მაჰმად მეორემ ქრისტიანეთა სისხლით შეღება წმ. ტაძარი, დაჯდა წმ. სოფიის უმთავრესს ტრაპეზზე და არ უშვებდა რა ზელიდგან გასისხლიანებულს ხმადს, ბრძანებდა ლოცვის აღვლენას მაჰმადისადმი. არის ერთი არა ინტერეს მოკლებული გადმოცემა იმ დროისა, როდესაც აზიის ბარბაროსები შევიდნენ წმ. სოფიის ტაძარში და საშინლად და შეუბრალებლად ელეტდნენ იქ თავმოყრილ ქრისტიანებს. იმ დროს მდებდნენ, რომელიც წირვას ასრულებდა, აიღო ბარძიმ-ფეხში წმ. ნაწილებით და დაწყნარებულად მიაშურა ტაძრის ეგვიტერს..., ვერ მოასწრეს თურქებმა მასზე გასისხლიანებული ხმილის დარტყმევა, რომ გაიხსნა კედელი ტაძრისა და დაფარა უშიშარი მსახური ღვთისა. როგორც ბერძნებს, აგრეთვე თურქებსაც სწამთ, რომ იგი დღესაც კითხულობს შიგნით კედელში ლოცვებს წმ. ნაწილებზე, ხან-და-ხან ვასაგონი ხმითაც კი, და რომ ბერძენთა რწმენით დადგება დრო, აუცილებელი ქრისტიანობის დღესასწაულობისა და ურწმუნოების დამარცხებისა, როდესაც სასწაულთმოქმედი კედელი კვლავ გაიხსნება და იქიდან გამოვა იგი მღვდელი წმ. ნაწილებით განახლებულ და აღდგენილ წმ. სოფიის ტაძარში.

ძველი სოფიისიდან, რომელიც იმ დროიდანვე თურქთა მიერ მეჩითად იქმნა ქცეული, დარჩა მხოლოდღა მისი შესანიშნავი ხონხი, კედლები. იგი სდგას სერალის მთაზე, დიდ ოტომანთა პორტას იქით. მარმალისოს ზღვიდან ის პირველი ხიბლავს მგზავრს თავის სიმაღლით და გუმბათის სიდიადით. იგი გარშემორტყმულია შენობებითა და დუქნებით. ფასდაუდებელი მოზაიკური მხატვრობა ძველი სოფიისა დაფარულია ოქროს საღებავით. კედლებზედ ჩამოკიდებულია შავი რგვალი ფარები და ძველი ხალიჩები მეკისა განწმენდილი კაპის ქვის შენებით. ზოგვან კარების მაგიერ ფარდებია გაკეთებული. ქრისტიანული საკურთხეველი მოხსნილია და მის ადგილზედ მუსულმანთა „მითაბია“ დადგმული, რომელიც მარმარილო-

თია შორთული და კაბისკენა მიმართული. ერთ სვეტზე კარგა მალა არის ქდე, ეს მაჰმად მეორემ ბიზანტიის იმპერიის დამყრობელმა გასჩეხა ქვის სვეტი თავისი ძლიერი ხმლით, როდესაც შევიდა იგი წმ. სოფიის ტაძარში ცხენით და გადიარა ცხენზედ მჯდომმა მკვდრებზე, როგორც ამბობს ძველი გარდმოცემა, ამიტომაც მას ზევით მოხვლია ხმლის შემოკვრა. მეორე სვეტზე სისხლის ნიშანია მისივე მარტვენა ხელისა, რომელიც გაისვარა მან ქრისტიანების სისხლში. მათი ამოხოცვის დროს... მაჰმადის თანამხლებლების ცხენების ფეხებით უწყალოდ ითვლებოდნენ ტაძარში თავმოყრილი ქალები და ბავშვები.

ოსმალთა მიერ დაპყრობის შემდეგ აია-სოფია გახდა პირველ სიწმინდეთ სტაიბოლისათვის, როგორც უწინ იყო იგი კონსტანტინოპოლისათვის. მისი შემოსავალი იმდენად დიდია, რომ მითი ინახება მეჩითთან არსებული სასულიერო შკოლები, საეკლესიო ფოფოები, უცხოთა სადგურები, და ღარიბთა თავშესაფარები და სხ.. იმ ძველი დროიდანვე დაწყებული დღემდე მაჰმადის მემკვიდრენი, აღიან რა სალოცავად მარმარილოს კიბეზე, ერთ ხელში უკავიათ მაჰმადის სჯულის წიგნი, მეორე ხელში კი გაშიშვლებული ხმალი, სახსოვრად იმ ისტორიული ხმლისა, რომლითაც აღებულ იქმნა სატახტო ქალაქი ქრისტიანი იმპერატორებისა.

რაც შეეხება თვითონ ხსენებული შენობის მდგომარეობას, იგი, მგზაურების სიტყვით ნეტისა და უამთავითარებისა გამო, თანდათან ძველდება როგორც გარედან, ისე შიგნიდან და როგორც დიდებული ნაშთი ძველი ქრისტიანული ხუროთმოძღვრებისა საჭიროებს დიდს ყურადღებას და პატრონობას.

დიდად სასურველი და სასიამოვნო მოვლენის მოწმენი შევიქენით ამ უკანსკელს დროს, რომ ბალკანეთის ომს ბოლო მოვლო და ამდენი სისხლის ღვრა შეწყდა, მაგრამ მასთანვე მეტად სასიამოვნო და სასურველ მოვლენადვე ჩაითვლებოდა ის გარემოება, რომ ოსმალებს ეს დიდებული ისტორიული და სასიკაღდლო

ქრისტიანული ნაშთი, ძველი სოფია ქრისტიანებისთვის დაეთმოთ, რითაც იგინი ქრისტიანების მხრით დიდ თანაგრძობას დაიმსახურებდნენ, ქრისტიანებს კი შეძლება მიეცემოდათ თავისი სათაყვანებელი ძველი ნაშთი განეახლებიათ, ხოლო თუ ეს შეუძლებელი იქნებოდა, იმ შემთხვევაში ყოველი ღონე მაინც უნდა იქნეს მიღებული აღნიშნული შენობის დაცვისათვის, რომ ამ დიდებულმა ნაშთმა, ქრისტიანეთა სიამაყემ კიდევ დიდხანს შეინარჩუნოს თავისი არსებობა.

მლ. სერგი მაქარაშვილი.

## † დიმიტრი ივანეს ძე აბაშიძე.

მდგომარე თვემ დიდათ საგრძობელი ვნება მიაყენა საჩხერის მხარის სამრევლო შკოლებს და განსაკუთრებით საჩხერის ორკლასიან საეკლესიო შკოლას გადაეცალა დიდი მოამაგე და მოჭირნახულე მზრუნველი მამა დიმიტრი ივანეს ძე აბაშიძე. განსვენებული ბევრნიარად სასარგებლო კაცი იყო, მაგრამ ჩვენ აქ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას მხოლოდ მისი მოღვაწეობის იმ მხარეზე, რომელიც გვისურათებს მას, როგორც მოსწავლეთა მეგობარს და თავდაუზოგველ მზრუნველს. თავის მამის დეკ. ივანე აბაშიძის გადაცვალეების შემდეგ, რომელიც ითვლებოდა ერთ საუკეთესო სამღვდელთა პირათ მთელ იმერეთის ეპარხიაში და რომლის მეოხებით დაარსდა ს. საჩხერეში ორკლასიანი სამრევლო შკოლა, დიმიტრი მამის ანდერძისამებრ შეუდგა საჩხერის ორკლასიან შკოლის მზრუნველობას და საგრძობელი კვალიც დააჩინა მის ნივთიერ მდგომარეობას. შესძინა ეზო, გაუშენა საჭირო შენობები, უზრუნველყო მასწავლებლები ბინით, მეორე მამათ გაუხდა განსაკუთრებით ღარიბ ბავშვებს, რომლებსაც დრო და დრო სთავაზობდა სასწავლო ნივთებს და სახელმძღვანელოებს. სადაც და ვისთანაც კი რამე გაუვიდოდა, განსვენებული არაფერს ზოგავდა, რომ



თავის ნაშვილებ შკოლისთვის რამე შეეძინა. ამ ბოლო დროს თავის მოღვაწეობა მთელი საჩხერის რაიონის საეკლესიო შკოლების ნიღაბზე გადაიტანა, რადგანაც საჩხერის შკოლაში საზრუნავი ბევრი აღარაფერი დარჩენილა, ხოლო დანარჩენი შკოლები დიდ სიღარიბეს განიცდიდნენ. ასე რომ ბ. დიმიტრი იმ თავითვე დღემდის საეკლესიო შკოლების სიცოცხლით სცხოვრობდა, მათი სიხარულით ხარობდა და მათი ნაკლულევეანებით იტანჯებოდა. მისი საყვარელი საუბარი ყველგან და ყველასთან სახალხო განათლება იყო, განათლება სარწმუნოებაზე აშენებული, სარწმუნოებაზე დამყარებული და ეკლესიასთან მტკიცე კავშირით დამოკიდებული. თვით ღრმა მორწმუნე, სარწმუნოებას აღიარებდა ხალხის კეთილდღეობის ერთ უმთარეს ფაქტორად. ეროვნება მისი წარმოდგენით ერთგვარი სარწმუნოებრივი კავშირია, და თუ ეს კავშირი დაეცა, ერთიც, როგორც ერთეული რამ, დაეცემაო. ქართველის სულისდგმა სარწმუნოება იყო და იგივე უნდა დარჩეს, თუ გინდა ქართველმა ერმა იარსებოსო. ასე იტყოდა ხოლმე განსვენებული დიმიტრი, ესევე იყო მისი ღრმა რწმენა და ამიტომაც იყო ასე გულმოდგინეთ რომ ეკიდებოდა საეკლესიო შკოლების საქმეს.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი დაუღალაო მუშაო ქრისტეს ყანისაო! შენ არ დაგივიწყებს საჩხერის რაიონის ახალგაზდობა!..

იმედი გვაქვს საჩხერის შკოლის მოამბეგნი და განსვენებულ დიმიტრის ამხანაგნი და თანამოღვაწენი დაწერილებით ცნობებს მოგვაწოდებენ მისი მოღვაწეობის შესახებ. ურიგო არ იქნებოდა ქუთაისის ეპარქიის სამოსწავლო საბჭოს თავის წარმომადგენელი გაეგზავნა სამრევლო შკოლების ასეთ მოამბეგის გასვენებაზე დასასწრებლად. პირველად მე ვიხდი ბოდის პატივცემული დიმიტრის ხსოვნის წინაშე, რომ ვერ დავესწარი და გულწრფელი ცრემლი ვერ დავაყარე მის გაცივებულ გვამს.

რედ. მდ. ს. მჭედლაძე.

## ლტოლვა ეკვიტედ.

ლეგენდა სელმა ლაგერლიოფისა.

შორს, აღმოსავლეთისაკენ ერთ უდაბნოში, რამოდენიმე ათასი წლის წინეთ, იზრდებოდა მეტად მაღალი, მეტად ხნიერი ფინიკი.

მგზავრნი, განცვიფრებით შესცქეროდნენ მას ღ ამბობდნენ, ეს მცენარე პირამიდებზე მეტ ხანს გასძლებსო.

და აი ერთხელ, როცა იგი მედიდურად გადასცქეროდა უდაბნოს სივრცეს, იხილა არა ჩვეულებრივი რამ და მთელი სხეულით შეთრთოლდა. შორს, იმ სიშორეზე, საიდანაც აქლემი ჭიანჭველას ოდენაც არ გამოჩნდებოდა, მან დაინახა ორი ადამიანი, უცხო, საკვირველი მოგზაურნი, რომელთაც არც წყლის ჭურჭელი ჰქონდათ თან და არც თავშესაფარი კარავი.

— უთუოდ ისინი იმიტომ მოსულან, რომ სიკვდილმა იმსხვერპლოს, წარმოსთქვა წყანარად მცენარემ და დაკვირვებით გადახედა ირგვლივ უდაბნოს სივრცეს.

— საკვირველია, ლომნი ჯერ კიდევ არ გამოსულან სანადიროდ, ვხედავ, ერთი ავაზაკიც არა სჩანს უდაბნოში. მრავალგვარი სიკვდილი ელისთ ამ უმწეო მგზავრებს: ან ლომები დაგლეჯენ მათს სხეულს, ან გველები დაშხამენ, ან წყურვილი დახოცავს, ან ქარი წალეკავს, ან შვის მწველი სხივები იმსხვერპლებენ, თუ არა და ავაზაკები მაინც ხომ დახოცავენ. მცენარე შეეცადა სხვა რამეზე გადაეტანა თავის ფიქრები, მაგრამ უნებურად ისევ მგზავრებზე იწყა ოცნებობა.

ეხლა უფრო გარკვევით გაარჩია მან მგზავრნი. ისინი იყვნენ ქალი და კაცი. ქალს მძინარე ბავში მიეყრდნო მკერდზე და თვის სამოსლით ფარავდა მის შიშველ სხეულს.

— ჰა, ესენი უთუოდ სამშობლოდგან ლტოლვილნი არიან! უგნურნი! უმჯობესი იყო, მტერს დანებებოდნენ, ვიდრე ამ უდაბნოს შემოხიზნოდნენ, საბრალონი! თუ ანგელოსი არ იფარავს მათ....

— შიშით განფრდილთ ჯერ კიდევ ვერ უგრძენიათ დადლილობა. საბრალოები! რა რიგ

სწყურიათ! განა ვერა ვცნობ მწყურვალე ადამიანის სახეს? წყურვილის მოგონებაზე, მცენარე შეთრთოლდა და ფოთლები მოეკრუნჩხა.

— ადამიანი რომ ვყოფილიყავ, არასოდეს არ განვიძრახავდი უდაბნოში მოგზაურობას, აქ ცხოვრება მცენარეებისათვისაც საშიშარია, რომელთა ძირები ვერ სწვდებიან მიწის ქვეშ დაუმრეტელ წყაროებს. რომ ძალა შემწვედეს, ურჩევდი უკან დაბრუნებას; განა მათი მტერი შეიძლება უდაბნოზედ უმკაცრესი იქნეს? მეც ბევრი სიმწარე განვიცადე ამ უდაბნოში. ერთხელ სიყმაწვილეში საშინელმა ქარიშხალმა სილისა და ქვიშის მთების გორა მომაყარა; რომ შესაძლო ყოფილიყო ჩემი სიკვდილი, მაშინ უნდა მომკვდარიყავ.

— არ ვიცი, რა შემართება! რაღაც საკვირლად შრიალეებენ ჩემი ფოთლები! რა მშვენიერია ეს მოგზაური დედაკაცი!?

მცენარეს მოაგონდა, როგორ ესტუმრენ ერთხელ ოაზისს ორი დიდებული მოგზაური — დედოფალი სავისა და სოლომონ ბრძენი. მშვენიერი დედოფალი სამშობლოში ბრუდებოდა და აი ამ ადგილს უნდა განშორებოდა მას სოლომონი.

ამ წუთის სახსოვრად ჩავდებ მიწაში ფინიკის თესლს, დე აღმოცენდეს, გაიზარდოს მეტად მაღალი, და იცოცხლოს, ვიდრე იუდელების სამეფოში არ დაიბადოს სოლომონზე უძლიერესი მეფე, — სთქვა დედოფალმა და კრემლებით მოაწყო თავისი ხელით დარგული თესლი.

— რად ფიქრობ დღეს ამ შემთხვევაზე? ნუთუ ეს მგზავრი დედაკაცი ისეთი ლამაზია, რომ მაგონებს უსაკვირველეს დედოფალს, რომლის სიტყვითაც მე აღმოვცენდი და ვცხოვრობ დღემდის? მესმის მწუხარე შრიალი ჩემი ფოთლებისა, მესმის მათი მწუხარე მანგები. ისინი წინასწარმეტყველებენ რომ ვიღაცა სიციხლეს უნდა გამოესაღმოს, მაგრამ, ვიცი, მე არ მეკუთვნის ჩემი ფოთლების წინასწარმეტყველება. ჩემი სიკვდილი შეუძლებელია; არა,

ისინი ამ ორი მგზავრის სიკვდილს წინასწარმეტყველებენ.

მგზავრებიც უთუოდ გრძნობდენ უკანასკნელ ეამის მოახლოებას და სასოწარკვეთილნი შესტკერდენ მალლა, მათ შორი ახლო მფრინავ სავთ.

შეამჩნიეს ოაზისი და გაეშურენ წყლის საპოვნელად, მაგრამ მალე შეიპყრო ისინი სასოწარკვეთილებამ; ჯურღმული ცარიელი აღმოჩნდა. ღონე მიხდილმა დედა-კაცმა ბავშვი ძირს დასვა და კრემლთა ფრქვევით ჩამოჯდა დამშრალ ნაკადულის პირს. იქვე ახლო დაემხო მამაკაციც.

მცენარეს ესმოდა მათი საუბარი, გაიგო მათი სიტყვებიდგან; რომ მრისხანე იროდმა მისცა ბრძანება დაეხოცათ ყველა ბავშვები ორი-სამი წლისა. მისი ფოთლები უფრო მწუხარედ აშრიალდენ..

— უმჯობესი არ იყო შევბრძოლებოდით მხედრებს? უფრო მეტად სიკვდილს ველირსებოდით.

— ჩენი ღმერთი დაგვიფარავს ჩვენ, მიუგო დედაკაცმა. — ჩვენ აქ მარტონი ვართ მხეცებსა და შხამიან ქვეწარმავალთა შორის, არა გვაქვს საზრდო, მოსთქვამდა იმედ-დაკარგული მამაკაცი და სასოწარკვეთით იგლეჯდა ტანსაცმელს.

მცენარის ფოთლები უფრო ხმამაღლა შრიალეებდენ. დედაკაცი უნებურად მიაცქერდა მის მწვერვალს და წამოიძახა:

— ოჰ ფინიკო! ფინიკო!

მცენარის წვერო დახუნძლული იყო ნაყოფით, მაგრამ განა შეეძლო ადამიანს ასეღა ამ თვალ-უწვდენელ სიმაღლემდის? მამაკაცს არც კი აუხეღია ზევით, მხოლოდ ქალს ევედრებოდა, შეუძლებელზე ნუ ოცნებობო.

ბავშვი, რომელიც შორი ახლო თამაშობდა, მიაცქერდა მცენარეს და ფიქრობდა, როგორ მოეწყვიტა ნაყოფი. მისთვის წარმოუდგენელი იყო, თუ დედა რასმე ინატრებდა და მისი სურვილი აუსრულებელი დარჩებოდა.

უეცრად ღიმილმა გადაუქროლა სახეზე, მივიდა მცენარის ძირში, ნაზად მოუსვა პაწია თითები და წყნარი მომხიბლავი ბავშური ხმით შესძახა:—ფინიკო! ფინიკო! დაიხარე!

ფოთლები უფრო მძლავრად აშრილდნენ. მთელი სხეულით შეთრთოლდა მცენარე და გრძელი ტანი მიწაზე დახარა. ბავშვმა მხიარული კივილით დაუწყო კრეფა ნაყოფს, შემდეგ კვლავ მოუსვა ნაზად პაწია თითები და ისეთივე მომხიბლავი ხმით შესძახა:

—ფინიკო! ფინიკო! აღსდგე!

ისევ გასწორდა წელში უზარმაზარი მცენარე. ფოთლები განუწყვეტლივ შრიალებდნენ, თითქოს წყნარ სევდიან ჰანგებს გალობდნენ.

—ეხლა კი ვიცი, ვის უგალობენ სამგლოვიარო ჰიმნს ჩემი ფოთლები, წყნარად ამოიგმინა მცენარემ. მგზავრთა გულის სიღრმიდგან აღმოხდა მხიარული ხმები და მუხლმოდრეკით შეევედრენ ზენაარს.

ამის შემდეგ. როდესაც ქარაევანმა გაიარა უდაბნოში, მგზავრებმა შეამჩნიეს, რომ ფინიკი გამხმარიყო.

—როგორ მოხდა ეს? ამ მცენარის გახმობა არ შეიძლებოდა, ვიდრე ის არ იხილავდა სოლომონზე უძლიერეს მეფეს?!

—შესაძლოა იხილა კიდევც, მიუგო ამ შეკითხვაზე მეორე მგზავრმა პირველს....

Michel

### სმა სოფლიდან.

დადგა აღდგომის დღესასწაული და თან დაიწყო სოფლებში ჩვეულებრივი „დასვენების“ (დღეობა) გადახდა, და ამას მოჰყვა ჩხუბი, წივილ-კვილი და კაცის კვლა.

აღდგომის მეორე დღე, რომელსაც „გარეგნობას“ ეძახიან, საჩინოში იცის ორმა სოფელმა: დიხაშხომ და ტყელოვანმა, ორთავ სოფელში „აღამაზხად ხანის“ შემოსევისებური ჩახა-ჩუხით დაერია ღვინით გაბრუნებული ხალხი ერთმანეთს. დიხაშხოში რამოდენიმე პირის

(გვარიანი) დაჭრით გათავდა, ეს მავნებელი დღეობა და ტყელოვანში კი, სხვათა შორის, ერთი ახალგაზდა, ხუთი მკირე წლოვნების მამა, ღორივით დაჰკლა მისმავე მეზობელმა.

საჩინოს გარეშე სოფლებიდანაც, სადაც კი „დღეობები“ იყო ამ ცოტა ხანში: მთავარ ანგელოსობა, ახალ კვირაობა (გორაში), გიორგობა (ს.ს. ბზვანში, ისრითში, გაღიში) „ქვანთახობა“ (ს. დვლიშვილებში) „ქაშვეთობა“ (ს. კვანჭირში) და სხვ... ყოველი სოფლიდან, შემაწუხებელი (ჩხუბის) ხმები მოდის და ს. კვანჭირში კი „ქაშვეთობას“ მეზობელმა ბაღდავხემ ხანჯლით დაჰკლა სუპატაშვილი. კვლავ, მომავალ დღეობებზე, რომლებიც ბლომათაა გაზაფხულ-ზაფხულობით, რამოხდება, ვინ იცის?!.

45-50 წლის წარსული დღეობების მომსწრე ვარ და ერთიც არ მახსოვს, რომ უჩხუბოთ, უკაცის მკვლევოთ ჩაველოს რომელიმეს. შემოძლია თვითოელი დღეობის შედეგი გაიმბოთ, რაც მომხდარა, მეგრამ შორს წავიყვანს და ან რა საჭიროა, რადგან ყოველმა ჩვენგანმა უწყის, ვინც თვალ-ყურს ადევნებს.

სამაგალითოდ ერთს შემთხვევას გაიმბობთ, რომელიც 35 წლის წინეთ მოხდა. აღდგომის შემდეგ შაბათს მთავარანგელოსობა იციან ს. საყულიაში (ქ. მაზრა). ჩემდა საუბედუროთ მეც იქ ვიყავი შემთხვევით. ნასადილევს 4-5 საათზე ღვინით გაელენილი ხალხი შეგროვილიყო ეკლესიის გალავანში: ზოგი არღანზე ცეკვავდა, ზოგი დაირზე, ზოგი „ბუსკანტზე“ და ზოგი უამაოთაც ვითარცა მაყურებელი, არღანთან შეგროვილი ხალხის ახლო ვიდექი. ერთ შეიარაღებულ მოცეკვავე ახალგაზდა ბიქს (მთვრალს) ფეხი დაუტდა და მიწაზე გაიშხლართა! სხვებთან ერთათ მეც გამეცინა და სიცილზე თვალი მომკრა!—რას იცინი შენ,—რუსო (ევროპიულათ ვიყავი ჩაცმული)? მე მოვახსენე—არაფერს, სხვებთან მეც გამეცინათქო! ამაზედ მიშოვა მიზეზი, ამოილო ხანჯალი და მომაშურა. გავექცეო, დამედევნა—„შიში მაჩვენე, გაქცევას გაჩვენებო“ ნათქვამია. შიშისაგან თავდავიწყებული გაერბოდი. რაღაცას

ფეხი წავკარ და მეც მიწაზე გავიშხლართე. ის ის იყო უნდა მომწეოდა და დავეკალ, რომ ჩემდა იღბლად ნაცნობ-მოკეთებები არ მომშველებოდნენ. გადაეღობენ კეტებით წინ, მე კი ვადამარჩინეს სიკვდილს, მაგრამ, თქვენ მტერსაც აშოროს ღმერთმა, რაც იქ იმ დღეს სისხლის ღვრა მოხდა! მე ერთს ერთი მომდევნა, მაგრამ ათასი ცხენოსან-ქვეითი აიძრა! აირიენენ ერთმანეთში, შეიქნა წივილ-კივილი ქალის, კაცის, ბავშვების... რა მოხდა? — გაქვინებული ცხენები მათრახების ცემით, პატრონებზე უფრო გაგიებული, დაეტაკენ ქალ-კაცთა გროვას: ზოგს ფეხი მოტყდა, ზოგს ხელი, ზოგი ეკლესიის ვალანის გარშემო არხში მდგომ წუმბეში ჩავარდა... სხვათა შორის ერთ ახალგაზდა ლამაზად ჩაცმულ-შეიარაღებულ ყმაწვილ კაცს (ქვეითს) ცაგარეიშვილს, მისივე მეზობლის ნ. აბულაძის ცხენი დაეტაკა და წააქცია. ეს ცაგარეიშვილმა იუკადრისა და აბულაძეს უთხრა — ცხენზე ზიხარ, ცხენოსნობაც უნდა იკოდო! — როგორ მიბედავ ყაზახო, ვინ გგონივარ მეო, უთხრა აბ — ძემ და მათრახები წაუთავაზა! — მათრახებს ხანჯლები მოჰყვა, ხანჯლებს ლეკურები... ცაგარეიშვილს ძმები და მოხუცი მამა მიეშველა, აბულაძეს ოთხი ვაჟაკი ძმები და ოციოდე იმ დღინდელი სტუმრები. შეიქნა აუწერელი სანახაობა. ცაგარ — ს მოხუცი მამა გადაეფარა თავზე და აბ — ძეს ვევედრებოდა — მაპატივეთ შვილი, ნუ მომიკლავთო! მაგრამ ამოთ, ბრძოლის ველზე მოხუცი მამა და მისი ორი შვილი, ვაჟაკები, დახოცილნი დარჩენ და აბულაძეები კი სტუმრებითურთ გამარჯვებულნი, სიმღერით სახლში გაბრუნდნენ. შედეგი? — ცაგ — ლი, კარგი ღონიერი ოჯახი გადაშენდა; აბულაძეები, მთელ იმერეთში შესანიშნავი აზნაურნი შეძლებით, ციმბირში გაგზავნეს. მათი იმ დღინდელი სტუმრით ახლედნიანთ. მამულ-დედული ზემოთქმულ შემთხვევის გამო აღძრულმა საქმემ იმსხვერპლა და ისინი ყველანი ციმბირში დაიხოცნენ.

აი შედეგი ჩვენებური დღეობებისა! თუ 35-40 წლის წინეთ ასეთი შემზარავი ამბები

ხდებოდა, დღეს უფრო უარესდება. ნივთიერად ხომ, თქმა არ უნდა, უფრო მეტ გაჭირვებაში ვართ. ულარიბესი მეკვამური რომელსაც, მკორე ვადასახადისათვისაც, უუსაჭიროეს ოჯახის ავეჯს უყდიან, დღეობისათვის მარჩენალ ხარს გაჰყიდის, რომ სტუმრებს გაუმასპინძლდეს.

დღევანდელი დღეობები ზნეობრივად დამახინჯებულია და ნივთიერად გამალტაკებელი. წინეთ თუ სარწმუნოებრივი გრძობით, სალოცავად მოდიოდა ხალხი ტაძრის დღეობაზე, მთელ წინა ღამეს ღოცვით და ვალობით ათევედნ, ტაძრის ხატს შესაწირს მიართმევდნენ, დღეს სულ სხვაა! მოდიან მხოლოდ დროს გასატარებლად დაუპატიებლად, მასპინძლის გასალატაკებლად, გაიყენებებიან ღვინით და შემდეგ აირ-დაირევიან ერთმანეთში, „ძალი პატრონს ვერ სცნობს“ და ხშირათ თვით მასპინძელსაც მიბერტყავენ ხოლმე.

უმეტესი ნაწილი ხალხისა (ხანში შესულნი) სწუხს ამგვარ ვადამახინჯებას დღეობებისას, რადგან ზნეობრივ-ნივთიერი ზარალის შეტი არავითარი სიამოვნება არ მოაქვს; მაგრამ მეთაური არა ჰყავს, რომ ამ არა სანატრელ მდგომარეობიდან იხსნას! რას აკეთებენ მღვდლები? — ისინი (უმეტესი ნაწილი) იმავე ფერხულში ჩაბმულან და არამც თუ თავიანთ მრევლს ჩააგონონ, ამ უმსგავსო ჩვეულების მოსპობა, თვით ისინი სარკე არიან იმის გაძლიერებისა. აი მაგალითი: ამ 25-27 წლის წინეთ ს. სალხინოში იკოდნენ დღეობათ სულიწმიდის გარდამოსვლა. რადგან ამ დღეობის მიზეზით ხალხი ნივთიერად ლატაკდებოდა და სულიერად მახინჯდებოდა, მაშინდელმა იქაურმა მღვდელმა დაითანხმა მრევლი და გადაავდეს ეს დღეობა! ახლო-მახლო სოფლების მღვდლები, თანაგრძობის ნაცვლად, სარკაზმებით გაუმასპინძლდნენ! — „გაკოტრებულა, აღარაფერი გააჩნია, რომ სტუმარს გაუმასპინძლდესო“ (ამაების მოქმედნი ჩვეულებრივი აუცილებელი სტუმრები იყვნენ „ანტი დღეობისტი“ მღვდლისა). დიად, ნამდვილ „გაკოტრდებოდა“, რადგან იმდენი დაუპატიებელი სტუმრები მიდი-

ოდენ დღეობაზე მასთან, რომ სახლში ტევა აღარ იყო, უზომო ხარჯი მოუდიოდა და იმავე დროს წერილი შეიღებოდა საპატრონონი ჰყავდა. უმსგავსო დღეობის გადაგდება ის შესძინა, რომ შეიღების აღზრდას ხელი შეუწყო (ორი მათგანი უმაღლეს სასწავლებელშია).

თვით ს. სალხინოს რა აზარალა დღეობის გადაგდება?—ძველი უფარგისი ეკკლესიის შენობა გადაკეთდა და დღეს მშვენიერი ტაძარი აქვთ, შკოლა არ იყო და დღეს ორ კლასიანი შკოლა არსებობს მშვენიერი შენობით, სადაც 150 ბავშვი სწავლობს! ამას გარდა, ამ შკოლამ რაოდენიმე ყმაწვილს გზა გაუკვლია და 4—5 ამ სოფლის მკვიდრთა შეიღებები უნივერსიტეტის კარებამდე მიიყვანა. გარწმუნებთ, მკითხველო, რომ ხსენებული დღეობა, არ გადაეგდოთ, დღეს ეს ზემოთქმული წარმატება არ ექნებოდა სოფელს, რადგან დღეობაზე ყოველ მეკვამურს საშვალორი ცხვირით 50 მან. ეხარჯებოდა და ეს საგრძნობელია ერთი დღის ხარჯათ.

მღვდელი ბ. ერი, ყველა დღევანდელ ნივთიერ ხელმოკლეობაზე ეჩივით და ასეთი მრავალ გვარად მზარალებელ ჩვეულებისათვის კი 50 მანეთობით ეხარჯავთ (ზოგნი 100-150). მღვდლებმა ჯერ თვითონ უნდა მოსპონ ეს მანეთი ჩვეულება და შემდეგ სულიერ შეიღებებს სარკვეთ დაუდგენ.

Z.

### ახირებული განკარგულება.

სხვაგან რა მოგახსენო, მკითხველო, და ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში სამრევლო შკოლების საქმე რომ ცუდათ მიდის, ეს ცხადზედ უცხადესია. მაგრამ საკვირველიც არ არის: ნათქვამია, „მკვდარს პატრონი იტირებსო“ დიახ პატრონი არ ყავს და მისთვის მიდის ცუდათ მათი საქმე. ამის დასამტკიცებლად მოვიყვან ერთ ფაქტს. თითქმის ორი წელიწადია, საბჭომ რაც გააწესა მეორე მასწავლებლები შკოლებში, რომლებსაც აღუთქვა, რომ მოკლე ხანში ისინი ჯამაგირებს. მიიღებენ მაგრამ

უბედურებაც იმაშია, რომ დაპირება ენუქას ანდერძათ გადაიქცა. საცოდავი მასწავლებლები ნახევარჯელ მშიერ-მწყურვალენი მეცადნეობდნენ თავდადებულად. ისინი ფიქრობდნენ, რომ მათი შრომა აუცილებლად დაფასებული იქნებოდა. მაგრამ მწარედ მოსტყუდნენ. არაფერ არ გასცა მათ ხმა. არაფერ, არამც თუ არ შევიდა მათ უმწყო მდგომარეობაში, პირიქით შანს უგებდნენ რატომ წადით უჯამაგირო ადგილებზე, ვინ გეხვეწებოდათო. ბოლოს, როდესაც შიმშილმა ძლიერ შეაწუხა, მასწავლებლებმა ძლიერ შეაფიქროვეს თხოვნით სამოსწავლო საბჭო. რომ გაესწორებია თავისი შეცდომა, ცოტათი მაინც შეეჩერებია შიმშილისაგან დაბნედილი მასწავლებლები და უხერხული მდგომარეობიდან გამოსულაყო, საბჭომ ზოგიერთ ჯამაგირიან მასწავლებლებს ჯამაგირი მოუკლო და ამნაირათ უჯამაგირო მასწავლებლებს ჯამაგირი შეუკონკა რაღაც ექვს-შვიდ თუნამდე.\*| საკვირველია და მასთან სატირალიც ამნაირი განკარგულება, სხვა რომ არა იყოსრა. მასწავლებელს ორი აბაზი, ან ათი შაური აქვს დღეში ჯამაგირი, რომელიც პურის ფულად თუ ეყოფა და იმასაც უკლებენ. რითღა იცხოვროს საცოდავმა მასწავლებელმა. რა თქმა უნდა, ეს განკარგულება იწყინეს შეურაცხყოფილმა მასწავლებლებმა და მოთხოვეს საბჭოს, აეხსნათ მათთვის მიზეზი ასეთი დამკირებისა, ე.ი. ჯამაგირების მოკლებისა. საბჭომ უპასუხა, ეს ჩვენი საქმე არ არის, ეს არის საეპარქიო მეთვალყურის ბრალი, მან ასე ისურვაო. დიახ, სატირალიც ის არის, რომ ყველა შეჩერებია ვლ. ი. და რასაც ის ბრძანებს, შესრულებულ უნდა იქნას. თუ არ ვცდები, უბრალო თავმოყვარეობაც არ უნდა აძლევდეს ნებას საბჭოს წევრებს, რომ ერთ კაცს ასე დაემონაონ. ან და ბ. მეთვალყურეს რა უფლება აქვს, ჯამაგირი მოუკლოს მასწავლებელს? თუ არ ვარგა რომელიმე მასწავლებელი, მე ვგონებ, დათხოვნილი უნდა იქმნას და სხვა საქმეს მაინც

\*| საბჭოს ასეთი განკარგულება არ მომავონებს, მკითხველო, უკვდავ კრილოვის „Тришкинъ кафтанъ“-ს!

მოკიდებს ხელს, თუ არა და ჯამაგირის მოკლებით სრულიადაც არ გამოკეთდება იგი, პირ იქათ უფრო დაეცემა სულით, გული აუტრუვედება მეცადინეობაზე და აღარაფერს არ გააკეთებს. ასეთი ახირებული განკარგულებით მთლად დაილუპება ჩვენი შკოლები, თუ ახლავე არ მიექცა ჯეროვანი ყურადღება, ვისიც ჯერ არს. ამ საქმეს ახლავე უნდა შეველა და ძალიან კარგი იქნება, რომ ჯამაგირების ასეთ დაქუცმაცებას და მასწავლებლების დაჩაგვრას ყურადღებას მიაქცევდეს ყოვლადსამღვდელო გიორგი. წინააღმდეგ შემთხვევაში უმეტესი ნაწილი შკოლებისა დაიხურება, ვინაიდან მშვიერი კუჭით ვერაფერ შესძლებს მუშაობას.

ორსოფელი.

### პასუხის შესახებ მცირე შენიშვნა.

ადამიანის ბუნება ისე არის მოწყობილი, რომ ყოველივე ნაკლულევენებას კაცი სხვაში ეძებს. მიმდინარე წლის „ზინაური საქმეების“ № 18-19 ში ამოვიკითხე დეკანოზის მ. ი. წერეთლის წერილი. ამ წერილის მეორე ნახევარი ყურადღების ღირსია და სრულ ქეშმარიტებას შეადგენს, მაგრამ პირველი ნახევარი კი სინამდვილეს მოკლებულია. მე, ამ წერილის ავტორი, თვითონ ხშირად ვესწრები იმ სასამართლოში, სადაც მ. დეკანოზს მოწმეები შემთხვევით დაუფიცებია. სიმართლე რომ მოგახსენოთ, იქ ჯვარიც შესაფერისია და ოლარიც, კიდევ სუფთათ არის დაცული დახურულ მაგიდაში ეს წმიდა საღმრთო ნივთები და არაერთი მტვერი მათ არ ექარება. რაც შეეხება სახარებას, მართლაც რომ სლავიანურია, რადგანაც რუსის მსაჯულისგან ნაყიდეა, მაგრამ ვინაიდან დაფიცების დროს სახარებას მხოლოდ ეამბორობიან და არ კითხულობენ, ამიტომ ასეთ შემთხვევაში თუ ქართული სახარება არ არის, არც არასფრად რუსული სახარების მთხვევა—ამბორობა შელახავს და შებღალავს სარწმუნოებას და ეროვნულ სულსა და გულს და რომ დაფიცების დროს მას ვკითხულობდეთ, მაშინ კი

სულ სხვა გვეთქმის; არა თუ სასამართლოებში, ჩვენდა სამწუხაროდ, თვით ეკლესიებშიდაც ბევრგან არ არის ოქრო—ვერცხლის ჯვრები და ოქრომკვდით მოქარგული აბრეშუმის ოლარები, მაგრამ ამით სარწმუნოება არაოდეს არ შემცირებულა, რადგანაც სიღარიბე ბიწიერებად არ არის ჩათვლილი. საქირთა სამღვდელო პირმა სარწმონოებით, გულის სიწმიდით და წრფელი სულით შეასრულოს თავისი საღმრთო მოვალეობა, თორემ ბრკყვილა ძვირფასი ოქრო—ვერცხლით ჩვენ ვერაოდესაც ვერ გავავი-რვებთ და ვერც ვასიამოვნებთ ცისა და ქვეყნის შემოქმედ ღმერთს, რადგანაც „უფლისა არს ქვეყანა და სავსება მისი, და ყოველი დამკვიდრებული მას შინა.“\*)

ასეთ წერიმალეებზე\*\*) წერას ბევრად უნჯობესია, რომ პატივცემულმა მ. დეკანოზმა უფრო დიდ მნიშვნელოვან გარემოებას მიაქციოს ხოლმე ყურადღება. მაგალითს მოგახსენებთ: წასულ 1912 წელში ერთმა ახალგაზდა საღმრთო სეულის მასწავლებელმა მღვდელმა სხვის სამრევლოში ადგილობრივი მღვდლის ჯინაზე და მის უფლებების შესაღახავად სასწავლებლის ერთს უბრალო და უკურთხ ოთახში ოდიკო დაასვენა, გამართა შიდ წირვა-ლოცვა, გვირგვინის კურხევა და სხვა საიდუმლოების შესრულება და მთელი ნახევარი წლის განმავლობაში თავისუფლად და გაბედულათ ასრულებდა ყოველგვარ მღვდელმოქმედებას; მორწმუნე ხალხიც ერთხანს ეტანებოდა ამ ოთახ-ეკლესიას, რადგანაც ეკლესიით ნაკურთხი ეგონათ და როდესაც გაიგეს, თუ საქმე რაში იყო, ჩამოშორდა; ამ გარემოებამ ფრიად ააშფოთა გარეშე სამღვდელოება და მორწმუნე საზოგადოება. ბოლოს, როგორც იყო, ამ სამწუხარო ამბავმა სასულიერო მთავრობის ყურამდისაც მიაღწია და თავნება მღვდელსაც სასტიკად აეკრძალა უბრალო ოთახში წირვა-ლოცვა და საღმრთო

\*) ეს ასეა, მაგრამ არც ნამეტანი უბრალოება შეეფერება ღვთის ღიღებას. ჯვარი რომ ვერცხლის იყოს, სადაც შესაძლებელია, ეს არაფერს შეაგინებს და ბევრს კი არგებს.

\*\*) ეს წერილმანები არ არის, საღვთო, სასკლესიო საგნებს სიწმიდე შეენის.

ნივთებიც ფიცხლავ დაუბეჭდეს მას. გვიკვირს, რომ დეკანოზს მ. ი. წერეთელს ამ სამწუხარო და ამაშფოთებელ მოვლენაზე კრინტიკ კი არ დაუძრავს და შეუნიშნავად დასტოვა.

სწორეთ ამაზე ითქმის: „სპილო კი არ შემინიშნია“...  
ლეთისნიერი.

**წერილი რედაქციის მიმართ.**

რადგან არ ძალმიძს ყველა იმ პატივცემულ პირს, რომელთაც წერილით თუ დეპეშით მომილოცეს 25 წლის იუბილე მთავარი-დიაკონის ხარისხში, ცალკე ცალკე მადლობა გამოუცხადო, გთხოვთ თქვენის პატივცემული გაზეთის საშუალებით საშუალება მომცეთ გულწრფელი მადლობა უძღვნა მათ.

მათი მოლოცვა ჩემთვის დაუფასებელია და მამხნევებს ახალ სასამსახუროდ შეუფის წმ. ტრაპეზის წინაშე.

მთავარ-დიაკონი სიონის საკრებულა ტაძრისა კოსტანტინე კარგარეთელი.

**მამაო რედაქტორო!**

ამასთანავე გაახლებთ სიას და გთხოვთ, თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით, ნება გვიბოძოთ უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ქვემო მოხსენებულ პირთ, რომელთაც ახლად აღშენებულ, ჩემდამო რწმუნებულ ჩიხის წმ. სამების ეკლესიას შემოსწირეს: 1, ნაკოლოზ გარსევანისძე იაკობაშვილს, რომელმაც შემოსწირა გუმბათისათვის 280 მ., კალისათვის 35 მ. და ჯვარკმისათვის აღგვითქვა 120 მ. 2, თავ. ბეჟან წერეთელს, რომელმაც შემოსწირა 10 მ. 3, ვფრემ და წიწა ღვთისივეთ, რომლებმაც შემოსწირეს სამღეროვანი შანდლისათვის 7 მ. 4, ფერშალის ტარასი თოფურის, რომელმაც შემოსწირა სანაწილე 12 მანეთათ ღირებული; 5, სიმონ ენუქასძე ხოჯაშვილს, რომელმაც შემოსწირა კალი ღირებული 15 მ. 6, იოსებ გ.

ღვთისივეს, რომელმაც შემოსწირა ზეთის საკუთრი ღირებული 10 მ. 8, ლიზა მ. ნადირაძეს, რომელმაც შემოსწირა საცეცხლური ღირებული 5 მ. 8. თეოდოსია საჩ. ნადირაძეს, რომელმაც შემოსწირა ტრაპეზზე გადასაფარებელი ღირებული 13 მანეთად. 9, თათია ტალახაძეს ერთი თუმნის შემოწირისათვის და 10, აზ. ილარიონ ოტიას-ძეს გამყრელიძეს, რომელმაც შემოსწირა ეკლესიის გამშენებისათვის 25 მან. საყურადღებოა ბ. ილარიონ გამყრელიძის ქველმოქმედება ჩვენს საზოგადოებაში, რადგანაც მან აღუშენა თავის საშუალებით უღარიბეს მთაში მცხოვრებ ხალხს ს. კვერეთში მშენიერი ეკლესია 5,000 მ. ღირებული; ავგო მშენიერი სამლოცველო ს. სხვიტარში მდინარე ჩიხურას ნაპირას ღირებული 2,000 მანეთამდე; შესწირა ეზოთ საჩხერის სამრევლო ორკლასიან შკოლას ქცევაზე მეტი ადგილი ღირებული არა ნაკლებ 500 მ. და სხვადასხვა დროს აღმოუჩინა ხოლმე ზემოხსენებულ შკოლას ნივთიერი დახმარება, აგრეთვე საჩხერის სამკითხველოსაც. ყველა ეს კი გაზეთის ფურცლებზე დღემდის აღნიშნული არ ყოფილა. \*) ამისათვის შევესწირავთ ბ. ი. გამყრელიძეს უღრმეს მადლობას და უსურვებთ მას, ღვთის შეწევნით, არც აწ მოკლებოდეს უნარი დახმარებისა ჩვენ ღარიბ საზოგადოებისადმი.

11. პრიჩეტნიკა პავლე იაკობიშვილმა შემოსწირა ოდიკის ფასათ 5 მ.

ჩიხის წმიდის სამების ეკლესიის  
მღ. აბიათარ იაკობაშვილი

**მ. რედაქტორო.**

უმორჩილესად გთხოვთ მოგვეთ საშუალება თქვენი გაზეთის მეშვეობით გამოუცხადოთ უღრმესი მადლობა ჩვენში კარგათ ცნობილთ დიდათ პატივცემულ მოღვაწეთ არქიმანდრიტ ნესტორს (ყუბანეიშვილს), წინამძღვარს შვაპთის მონასტრისას და თბილისის დედათა სასწავლებლის ინსპექტორს დეკ. კორნელი კეკელიძეს, რომელთაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს ჩვენდამო რწმუნებულ ძველი ტობა-

\*) ამეზე იხილეთ „შინ. საქ.“ № 11 1913 წ.

ნიერის წმ. სამების ორშტატიან ეკლესიას პირველმა ერთი ხელი სამღვდლო შესამოსელი და მეორემ ორი ხელი აგრეთვე სამღვდლო შესამოსელი და დაფარნები

მღვდლები ძველი-ტობანიერის წმ. სამების ორშტატიან ეკლესიისა სევერიანე კველიძე და ივანე თებზაძე.

### მ. რედაქტორო!

ხანის წ-დის გიორგის ეკლესიის კრებული მრევლითურთ უღრმეს მადლობას სწირავს ტფილისში მოვაქრე ბ. სიმონ ივანესძე გიორგიძეს, რომელმაც შემოსწირა ზემოხსენებულ ეკლესიას ერთი რწყვილი ბაირალი ღირებული 25 მანეთ. ვისურვებთ, ბატონ სიმონს გამოჩენოდეს მიმბაძველები მისს თანამემამულეებში.

მღვ. კ. გიორგიძე.

ბაგრატიის ტაძრის ნაშთის დაცვის სასარგებლოთ მივიღეთ შემოწირულება, საბლალოჩინოებში კრებულთა შორის შეგროვებული, შემდეგ ბლალოჩინებისაგან: მღ. თომა დუგლოძისაგან 22 მან., დეკ. სერაფიონ ფანჯავიძისაგან 18 მან., მღ. სიმონ ქელიძისაგან 19 მან., დეკ. მ გორდეზიანისაგან 20 მან., მღ. სიმონ აფხაიძისაგან 30 მან. და 14 შაური. ყველა შემოწირველთ კომიტეტი უღრმეს მადლობას უძღვნის.

კომიტეტის წევრი ა. გორგაძე.

რედაქტორი მღვდელი სიმონ მავალიძე.

გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

### 1-ე заочные кулинарные курсы.

Полный курс лекций для самообучения „скромный и постный стол“, около 100 рецептов кушаний, напитков, печенья, компотов, варений, сладких блюд, пирогов и друг. Слишком 300 стр. убористаго шрифта. Цена съ перес. влож. плат. 2 р. 60 к. **НАСТАВЛЕНИЕ**, как правильно вести домашнее хозяйство и готовить экономические, вкусные и питательные обеды съ приложениемъ разръзки мяса и украшенія стола и блюдъ около 100 стр. съ рисунками. Цена 1 р. 20 к. Обѣ книги вмѣстѣ 3 р. 35 к. (можно марками).

Съ заказами обращаться исключительно къ Я. К. ПЕТЕРСУ. С.-Петербургъ, Пет. стор., Большой пр. № 561-62

### 40 ДНЕЙ

### !!! БЕСПЛАТНО !!!

Если Вы въ теченіе 40 дней не выучитесь свободно говорить, читать, и писать по нѣмецки, французски, англійски и латински по нашимъ самоучителямъ, составлен. по новейшему методу (всѣ другіе—реклама), деньги возвращаемъ обратно. Цена самоучителя одного языка съ перес. наложен. плат. 1 р. 10 к., 2-хъ—1 р. 90 к., 3-хъ—2 р. 80 к., 4-хъ—3 р. 65 к., Заказы исполн. един. складъ для всей Россіи. С.-Петербургъ, Петербург. стор. Большой пр., 56-567 Я. К. ПЕТЕРСЪ.